გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№329 (388) 18-25 აგვისტო 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ამრამ პეტროსიანი: *სომხური დიასპორა აფხაზეთში "ეკონომიკური რევოლუციისთვის" ემზადება*

(თუ აფხაზებმა არაფერი იღონეს, სომხები მალე აფხაზეთს “გადაყლაპავენ”)

გვ. 5

## ალექსანდრე ჭაჭია: ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია

მე ძალიან ვშიშობ, რომ საქართველო ვერ მოასწრებს რუსეთის ისტორიაში პუტინის პრეზიდენტობის პერიოდით სარგებლობას. ვგულისხმობ, როგორც მის პირად, ძალზე პოზიტიურ დამოკიდებულებას საქართველოს და საერთოდ, ქართველების მიმართ, ასევე რუსეთის პოლიტიკოსთა ამჟამინდელი თაობის მენტალობას, ვისთვისაც ჩვენ ნამდვილად არა ვართ უცხონი.

გვ.2



## “ნიკა გვარამიამ ძალიან ადრე ატეხა განგაში... ისე, მე უფრო ვარ “ბეტმენი”, ვიდრე “რუსთავი 2” დამოუკიდებელი არხი”

ნაციონალთა პროპაგანდისტულ ტერარიუმს – “რუსთავი 2”-ს გოგირდი შეუბოლეს და ტერარიუმიც აფუთფუთდა



გვ. 7

## დავით ქობალია: ვინ უნდა ააშენოს ანაკლია-პორტი?

ვის მიანიჭებს უპირატესობას საქართველოს სამთავრობო და მოწვეულ, უცხოელ ექსპერტთა სატენდერო კომისია?

გვ. 11

## ფლიდი

როგორც ჩანს, მარგველაშვილს კატეგორიულად არ აძლევს ხელს ბიძინას ამაგის გახსენება და ეს აშკარად პოლიტიკური დოყლაპია, ნაცვლად იმისა, რომ ბიძინას მიერ მუქთად ნაბოძები ძალაუფლებით ტკბებოდეს, ახლა თავად გადადის შეტევაზე, მისსავე გუნდს უდგება კრიჭაში და საარჩევნო დაპირებების ირონიულად შეხსენების მხრივ თვით “ნაციონალებსაც” კი “გადაუჯოკრა”!

გვ. 6

## ბენია თხილავა: *საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა!*

სამოქალაქო მონიტორინგისა და კონტროლის საბჭოს მუშაობის ეფექტურობისათვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საზოგადოების დიდი კვლავ არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!“.

გვ.8

## იგორ კეკელია: ქართველური ტოპონიმიის მნიშვნელოვანი შენაძენი

*(რეცენზია პროფ. პაატა ცხადაიას წიგნზე)*

გვ. 3

## კოლხეთი ათასწლეულთა მიღმა



დღეს უკვე მსოფლიოს ყველა წამყვანი მეცნიერი ერთხმად აღიარებს რომ ანტიკური წინაბერძნული კულტურა არ იყო ინდოევროპული ბერძნების შექმნილი, არამედ მაღალგანვითარებული ავტოქტონური ტომების, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, კავკასიური მოდგმის, კერძოდ პელაზგ-კოლხების მიერ იყო დაარსებული.

გვ. 3-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია

დაიბეჭდა გაზეთში ”ჯორჯიან თაიმსში”, 2006 წლის ოქტომბერში

**– წლების წინ თქვენ ჩამოაყალიბეთ და ფართო საზოგადოებას წარუდგინეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტიული მოდელი. თქვენ პრინციპული პოზიცია გიკავიათ ამ საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსის რეპუტაციაც კი შეგექმნათ, რაც თქვენს პოლიტიკურ იმიჯს ხშირად ხელსაც უშლიდა. რჩებით თუ არა იმავე აზრზე და რას იტყვით ახალს?**

– რასაკვირველია, ვრჩები, ვინაიდან ვიყავი და ვრჩები საქართველოს პატრიოტად. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია კი ყველაზე პროქართულ პოლიტიკად მიმაჩნია. არასოდეს მიზრუნია ჩემს პოლიტიკურ იმიჯზე და ნაკლებად ვუწევდი ანგარიშს კონიუნქტურას. ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი, მაშინაც კი, როდესაც ეს სიმართლე არაპოპულარული იყო. სამწუხაროდ, ზოგჯერ საზოგადოება მწარე სიმართლეს ტკბილ სიცრუეს ამჯობინებს...

დავიღალე იმის გამეორებით, რომ რუსეთი ის სახელმწიფოა, რომლის კეთილ ნებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობები კი პირდაპირ განსაზღვრავს საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. სწორედ რუსეთში ცხოვრობს მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე, ვისთვისაც საქართველოში ადგილი არ აღმოჩნდა. ისინი არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სამშობლოში დარჩენილ ნათესავებს და მეგობრებს ინახავენ და რუსეთიდან გამოგზავნილი ნაღდი ვალუტა საქართველოში ფულადი ბრუნვის უმეტეს ნაწილს უზრუნველყოფს.

მითხარით, ნორმალურ ადამიანს, პატრიოტს, რატომ უნდა უნდოდეს ასეთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გამწვავება? გარდა ამისა, რუსეთთან, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებთან ჩვენ დაკავშირებული ვართ საერთო ისტორიული ბედით, სარწმუნოებით, ათასი კულტურული, სამეცნიერო, პირადი კავშირით, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ვინც რა უნდა თქვას, ჩვენ, ქართველები, სწორედ ამ ქვეყნებში არა ვართ უცხონი. თუ სადმე უკვე აღარა ვართ მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, კარგ ნაცნობებად მაინც ვრჩებით. ხოლო ყველა დანარჩენი მსოფლიოსათვის ჩვენ უცხონი ვართ. მრავალი ქვეყანა მოვიარე და ეს კარგად ვიცი. როდესაც ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვყურებს, დაინტერესებულია ჩვენი ბედით და დღედაღამ ჩვენს მომავალზე ზრუნავს – ეს სიცრუეა. მსოფლიოში საქართველოს შესახებ ან საერთოდ საქმის კურსში არ არიან, ანდა იცნობენ, როგორც ეთნოკონფლიქტების ერთ-ერთ კერას...

დასავლური საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ჩვენ ცნობილი გავხდით აფხაზეთის ომის შემდეგ და სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ჩვენი საერთაშორისო იმიჯი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს და ცრუ იმედები, თითქოს დასავლეთი ჩვენ გულში ჩაგვიხუტებს – არ უნდა ვიქონიოთ.

სად მიდის ქართველი ფულის საშოვნელად, საკუთარი ბიზნესის ასაწყობად? – რუსეთში. სად მიჰყავს მას სამკურნალოდ მძიმე ავადმყოფი ნათესავი? – ისევ რუსეთში. სად არის პოპულარული ქართული კინო, თეატრი, ქართველი მომღერლები, სად მოსწონთ ქართული სამზარეულო, იგივე ჩვენებური ღვინო? – რუსეთში, **დსთ**-ის ქვეყნებში... სხვაგან მათ არც იცნობენ და გაცნობის სურვილსაც მაინცდამაინც არსად ამჟღავნებენ. ახლა, მე თქვენ გეკითხებით: რისთვის არის საჭირო ამ ყველაფრის დაკარგვა და უზარმაზარი, უმდიდრესი ქვეყნის მტრად მოკიდება? ნუთუ ეს საქართველოს ინტერესებშია?

თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ რუსეთს მალე ბოლო მოეღება, იგი დაიშლება, ქაოსში ჩაიძირება და ა.შ. ამ ადამიანებს ჰგონიათ, რომ რუსეთის დაშლა საქართველოსთვის სიკეთის მომტანი იქნება. ვინმეს თუ წარმოუდგენია, რას ნიშნავს საქართველოსთვის რუსეთის მიერ არაკონტროლირებადი ჩრდილო კავკასია?! პარლამენტართა წრეებში ცოდნა-განათლება იშვიათი მოვლენაა, მაგრამ გონიერ ხალხს ხომ ახსოვს თავისი ისტორია?

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართულ სამეფო-სამთავროთა რუსეთთან შეერთების პროცესი დაიწყო, აღმოსავლეთ საქართველოში 200 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში – დაახლოებით 500 ათასი, ანუ ერთად – 700 ათასი კაცი... აქედან რამდენი იყო ეთნიკური ქართველი? ვთქვათ, ნახევარი მილიონი... ხომ უნდა გვახსოვდეს ეს ყოველივე?

თანამედროვე რუსეთის ისტორიაში იყო დეგრადაციისა და დაშლის ათწლიანი პერიოდი, როდესაც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, კორუმპირებული კოსმოპოლიტების ჯგუფი, რომელიც სრულიად კონტროლირდებოდა ამერიკული პოლიტიკური და საერთაშორისო ფინანსური წრეების მიერ. ამ ჯგუფმა უდიდესი ზარალი მიაყენა როგორც რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, ასევე რუსეთის ურთიერთობებს სხვა მეზობელ ქვეყნებთან, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ზარალი ამ ჯგუფმა თვით რუსეთს და რუს ხალხს მიაყენა! რუსეთის ისტორიის ეს სამარცხვინო პერიოდი დამთავრდა, თუმცა მრავალი რეციდივი ჯერ კიდევ არსებობს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილია რუსეთის ისტორიისთვის დამახასიათებელი მთავარი პრობლემა – ლიდერის პრობლემა.

დღეს ქვეყნის სათავეში ეროვნულად ორიენტირებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, ძლიერი ლიდერი დგას. მან მოკლე ვადაში შეძლო ამოუწურავი საშინაო რესურსების მობილიზება და სახელმწიფოს ფეხზე დაყენება. მას ძალიან უჭირს, ბევრი მტერიც ჰყავს როგორც მსოფლიოში, ასევე ქვეყნის შიგნითაც, ღირსეული კადრების დიდ დანაკლისს განიცდის, მაგრამ ჯიუტად და განუხრელად აკეთებს თავის საქმეს. სწორედ ამაზე ვესაუბრებოდი მე თავის დროზე ქართულ საზოგადოებას: რუსეთში პოლიტიკური ნების დეფიციტია, მაგრამ გამოჩნდება ღირსეული ლიდერი და ქვეყანა ისევ აღორძინდება-მეთქი და ეს აღორძინებული ქვეყანა ჩვენში მტრულ სახელმწიფოს არ უნდა ხედავდეს...

არადა საბჭოთა კავშირის არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი მყარი პოზიციები რუსეთში, როგორც ქართველებს გვქონდა. ეს ყველა სფეროს შეეხება – პოლიტიკურს, საზოგადოებრივს, კულტურულს, რელიგიურს, სამეცნიეროს და ა.შ. და ჩვენ ვერაფერი გამოვიყენეთ საქართველოს სასიკეთოდ. თითქმის ყველაფერი დავკარგეთ! ყველაზე დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ ჩვენ ვერაფერი ვისწავლეთ გასული პერიოდის განმავლობაში, ისევ ძველ პოლიტიკურ კურსს ვაგრძელებდით და კვლავ ნაცად პროპაგანდისტურ რიტორიკას ვებღაუჭებოდით.

ნუთუ ეს შეიძლება ჩაითვალოს პროქართულ პოლიტიკად, ხოლო ჩემი პოზიცია – პრორუსულად?

თუ საკუთარმა ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა,– მივმართოთ სხვა ქვეყნებისა და ერების გამოცდილებას. მაგალითად, ფინეთის, რომელიც ტერიტორიით, მოსახლეობით და ბუნებრივი რესურსებით ძალიან ჰგავს საქართველოს და ისიც რუსეთის მეზობელია. 1918 წლამდე ფინეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა (მანამდე იგი შვედეთის ნაწილი იყო და საკუთარი სახელმწიფოებრიობა არც არასოდეს ჰქონია).

რევოლუციის შემდეგ ფინეთმა ლენინისგან დამოუკიდებლობა მიიღო და ეროვნული სახელმწიფოებრიობა ჩამოაყალიბა. 30-იან წლებში ამ ქვეყანას ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან, 1939 წელს ომობდა კიდეც მასთან და ტერიტორიის ნაწილიც დაკარგა... მეორე მსოფლიო ომის დროს, მწარე გამოცდილების მქონე ფინელები მეტნაკლები თავშეკავებულობით იქცეოდნენ, 1944 წელს კი ჰიტლერული კოალიციიდან გამოვიდნენ და ისინი სტალინს არ დაუსჯია.

ნატოს, ხოლო შემდეგ კი ვარშავის ბლოკის შექმნისას, დასავლეთის და საბჭოთა კავშირის ურთიერთდაპირისპირების გაძლიერების პირობებში, ფინეთმა უარი თქვა **ნატო**-ში გაწევრიანებაზე და ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ქვეყანა მონაწილეობას ღებულობდა დასავლურ ეკონომიკურ პროექტში, მიღებული ჰქონდა იქაური ინვესტიციები, მაგრამ პარალელურად ატარებდა ხაზგასმით მეგობრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან. სანაცვლოდ კი უკიდეგანო საბჭოთა ბაზარზე პირდაპირი გასასვლელი მიიღო.

საქმე ის არის, რომ ფინური პროდუქცია ევროპულ სტანდარტებში ვერ თავსდებოდა და დასავლეთს ის არ სჭირდებოდა, სამაგიეროდ სსრ კავშირი მისგან ყველაფერს ყიდულობდა და თანაც განუსაზღვრელი რაოდენობით... ამის შედეგად რამდენიმე წელიწადში ფინეთი მდიდარ და სწრაფგანვითარებად სახელმწიფოდ გადაიქცა! ნუთუ ეს არ არის მაგალითი საქართველოსთვის?

მე ძალიან ვშიშობ, რომ საქართველო ვერ მოასწრებს რუსეთის ისტორიაში პუტინის პრეზიდენტობის პერიოდით სარგებლობას. ვგულისხმობ, როგორც მის პირად, ძალზე პოზიტიურ დამოკიდებულებას საქართველოს და საერთოდ, ქართველების მიმართ, ასევე რუსეთის პოლიტიკოსთა ამჟამინდელი თაობის მენტალობას, ვისთვისაც ჩვენ ნამდვილად არა ვართ უცხონი. რუსეთის როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და სამეცნიერო ელიტის შემდეგი თაობის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, ალბათ, ისეთივე იქნება, როგორიც ზიმბაბვესა და ტაჯიკეთთან...

ამ პოლიტიკოსებისაგან უკვე ვეღარ მოისმენთ ისეთ სიტყვებს, რაც ამას წინათ პუტინმა თქვა: **„ქართველები ჩვენთვის ყველაზე ახლობელი ხალხია“** – ხოლო რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერება ისევ მიგვიყვანს ევრაზიაში გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებამდე. რუსეთი და დასავლეთი ისევ მოილაპარაკებენ ერთმანეთში და დასავლეთი წავა სამხრეთ კავკასიიდან, ამერიკელებიც წავლენ, ისევე, როგორც 1921 წელს ინგლისელები და გერმანელები წავიდნენ.

ჩვენ კვლავ დავრჩებით რუსეთთან პირისპირ და ეს უკვე აღარ იქნება მეგობრული რუსეთი. იმ რუსეთის სათავეში ის თაობა იქნება, ვისთვისაც ჩვენ უცხო ვიქნებით... როგორი საერთაშორისო პროექტის მატარებელი იქნება ის რუსეთი? ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს იყოს ჩუბაისისეული **„ლიბერალური იმპერიის“** პროექტი, ანუ ამერიკული ტიპის იმპერიის მოდელი, რომელსაც შეერთებული შტატები 50-იან წლებში ამკვიდრებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაშინ ჩვენ მივხვდებოდით, თუ რას ნიშნავს იყო კოლონია და მეორეხარისხოვანი ერი...

ამიტომ დღეს ჩვენ სერიოზულად უნდა დავფიქრდეთ ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე: 600-700 წლის განმავლობაში საქართველოს ახლა პირველად ეძლევა შესაძლებლობა, გახდეს ნეიტრალური ქვეყანა. ეს გახლავთ უნიკალური ისტორიული შანსი, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია უცხო სამხედრო ძალებისაგან თავისუფალი ქვეყანა გავხდეთ და ბრძნული, შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა.

დიახ, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია გავძლიერდეთ ეკონომიკურად, ქართველი ერის უსაფრთხო მომავალიც უზრუნველვყოთ! ნაცვლად ამისა, რატომღაც ჯიუტად **ნატო**-ს ხახაში თავის შესაყოფად მივიჩქარით და რუსეთის სახით მტრის შეძენას ვესწრაფით.

**– თქვენი მოსაზრება საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც კვლავ სტერეოტიპული აზროვნების ტყვეობაში იმყოფებიან და, ამიტომ შესაძლებელია, მათ რუსეთის აგენტობაც დაგწამონ. ფიქრობთ თუ არა ამაზე?**

– უნდა გითხრათ, რომ აგენტები სწორედ საპირისპიროს ლაპარაკობენ. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ვისაც ყოველდღე ტელევიზიით ვუყურებთ და ვინც დღენიადაგ თავგამოდებით ლანძღავენ რუსეთს და მის პრეზიდენტს, ჩვენი ქვეყნის შეუგნებელი მტრები კი არა, სწორედ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან. სხვაგვარად ამ უგუნურობის ახსნა შეუძლებელია. რა უნდა გააკეთოს რუსეთის აგენტმა იმისათვის, რომ თავისი **„პატრიოტიზმი“** დაუმტკიცოს საზოგადოებას? რა თქმა უნდა, ლანძღოს რუსეთი! აღსანიშნავია ის, რომ ერთი თვის წინ რუსეთთან ორი ძირითადი პრობლემა გვქონდა მოსაგვარებელი – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთის ბაზრის გახსნა. დღეს კი, ამ აგენტურის ძალისხმევით, მოსაგვარებელ საკითხთა სია ათჯერ გაიზარდა და ეს ორი ძირითადი პრობლემა უკანა პლანზე გადაიწია, ანუ რუსეთი ამჟამად გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში იმყოფება.

ჩემ საჯარო გამოსვლებში მე გამოვდივარ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ინტერესებიდან და არ მაინტერესებს, შეესაბამება ეს რუსეთის პოლიტიკურ კურსს თუ არა. თუ გახსოვთ, 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის მთელმა ხელმძღვანელობამ – ელცინმა, ჩერნომირდინმა, გრაჩოვმა, კოზირევმა – სპეციალურად მიმართეს ქართველ ხალხს მოწოდებით, რომ პრეზიდენტად აგვერჩია არა სხვა ვინმე, არამედ ედუარდ შევარდნაძე... მაშინვე შესაბამისი მიმართულებით ამუშავდნენ რუსეთის სპეცსამსახურებიც და ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის ვითომ ოპოზიციურიც, პირდაპირ თუ ირიბად შევარდნაძის მხარეს დადგა. მათ საპირისპიროდ, მე და ჩემი მეგობრების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურა წამოვაყენეთ და რეალურად ის არჩევნები მოვიგეთ კიდეც. თუმცა „მსოფლიო თანამეგობრობამ“ და, პირველ რიგში, რუსეთის ხელმძღვანელობამ, იმ გაყალბებული არჩევნების შედეგები უპრობლემოდ სცნო. მე მგონი, ეს კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ ვინ არიან სინამდვილეში რუსეთის აგენტები საქართველოში. აღარაფერს ვამბობ აშშ-ის სპეცსამსახურების აგენტობაზე, რომელთა რიცხვი საქართველოში განუზომელია.

თუ თქვენ თვალს ადევნებთ რუსეთის სერიოზულ პრესას, გეცოდინებათ ჩემი წერილები, სადაც მე მკაცრად ვაკრიტიკებ რუსეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური კურსის ცალკეულ მიმართულებებს, რომლებიც მავნებლად და მიუღებლად მიმაჩნია როგორც რუსეთისა და საქართველოსთვის, ასევე მთელი ევრაზიული სივრცისთვის.

მოგეხსენებათ, ყველა ის სიბინძურე, გარყვნილობა, რომელიც დღეს ასე ხრწნის ქართულ საზოგადოებას და რომელიც ჩვენი ერის ჯანსაღი ნაწილის გულწრფელ აღშფოთებას იწვევს (ვგულისხმობ იმ ე.წ. დასავლური ღირებულებების ნიღბით თავსმოხვეულ უზნეობას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება ტელეარხებიდან და ჩვენი ახალგაზრდების დეგრადირებას უწყობს ხელს), საქართველოში სწორედ რუსეთიდანაა შემოსული. ჯერ რუსეთის პოლიტიკურმა და კულტურულმა წრეებმა დანერგეს ამერიკის მიბაძვის სამარცხვინო პრაქტიკა, შემდეგ კი ეს ჩვენმა პროვინციელებმა გადმოიღეს რუსეთიდან. ჯერ რუსეთის გამყიდველმა ინტელიგენციამ უღალატა საკუთარ ხალხსა და ქვეყანას, შემდეგ კი საქართველოშიც მიბაძეს მას. ჯერ რუსეთში დაიწყეს საკუთარი ისტორიის ლანძღვა-გინება, საკუთარი ერის დამცირება, შეურაცხყოფა და ნაციონალურ ღირებულებათა დაკნინება, შემდეგ კი იგივე პრაქტიკა გავრცელდა საქართველოშიც.

თუმცა მე რუსეთის პოლიტიკის კრიტიკას ვამჯობინებ რუსულ პრესაში და არ ვემსგავსები იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ქართულ პრესაში, ქართულ ენაზე დაბეჭდილი ღია წერილებით მიმართავენ რუსეთის ხელისუფლებას, რაც მხოლოდ ადგილობრივი უფროსების წინაშე თავის მოწონებას ემსახურება.

**– როგორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ საქართველო-რუსეთის ახლანდელი მეტად დაძაბული ურთიერთობებიდან? და საერთოდ, სად არის აქ პოლიტიკური „ოქროს შუალედი“?**

*(გაგრძელება მე-4 გვერდზე)*

# ქართველური ტოპონიმიის მნიშვნელოვანი შენაძენი

*(რეცენზია პროფ. პაატა ცხადაიას წიგნზე)*

სპეციალური სერიით – **„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“** – გამოცემულ წიგნს 2013 წელს კიდევ ერთი შეემატა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პაატა ცხადაიას წიგნი **(„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VIII. აბაშის რაიონი“**. თბ., 2013). საველე ექსპედიციების გზით 1984-1986 წლებში მოპოვებული აბაშის რაიონის ტოპონიმთა სალექსიკონო მასალის მერვე წიგნში თავმოყრით მკვლევარმა დაასრულა კიდეც სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონების გამოცემა.

საარეცენზიო წიგნი 304-გვერდიანია. იგი შედგება წინასიტყვაობის (გვ. 5-10), პირველი **(„აბაშის რაიონის საკრებულოები, სოფლები, რესპოდენტები“**, გვ. 11-111) და მეორე ნაწილის **(„ტოპონიმთა სია“)** ნაწილისაგან (გვ. 112-286); დანართში წარმოდგენილია სუჯუნის თემის საკრებულოში ჩაწერილი ზოონიმია (გვ. 287-289). წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია (სულ დასახელებულია 122 წიგნი და სტატია; გვ. 290-300) და შემოკლებანი (გვ. 301). ლექსიკონის რედაქტორია პროფ. მერაბ ჩუხუა, რეცენზენტები არიან რევაზ აბაშია და წინამდებარე წერილის ავტორი.

იმთავითვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ პროფესორი პაატა ცხადაია გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან იკვლევს დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიას. ამ დარგში, ამასთანავე, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მთელ რიგ პრობლემურ საკითხებზე, მას გამოქვეყნებული აქვს ოცი წიგნი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი.

სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი ხაზგასმით აცხადებს, რომ სწორი მეცნიერული ანალიზის შემთხვევაში ტოპონიმს (გეოგრაფიულ სახელწოდებას) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ტოპონიმების მეშვეობით შეიძლება დასაბუთდეს იმისა, **„თუ რომელი ხალხია აბორიგენი ამა თუ იმ რეგიონისა: წარსულის გეოგრაფიული სახელწოდებანი ცხადყოფენ, რომ ქართული (მეგრული, სვანური) ტოპონიმური ფენა აფხაზეთში სუბსტრატულია, ხოლო აფხაზური ტოპონიმია სამურზაყანოში სუპერსტრატს წარმოადგენს. ასეთივე ვითარებაა ჯავახეთსა და ქვემო ქართლის ტოპონიმიაშიც. ორივე რეგიონში პირველადი და აბორიგენულია ქართული მოსახლეობა, ხოლო არაქართული მოსახლეობა შემდგომ არის დამკვიდრებული ამ რეგიონებში“** (ცხადაია, VIII, 2014: 5).

პ. ცხადაიას მართებული შეფასებით, სამეგრელოს სხვა რაიონებთან შედარებით ტერიტორიულად მცირე აბაშის რაიონის ტოპონიმიაც ისევეა წარსულის მაცნე, როგორც საერთოდ მთელი ქვეყნის ტოპონიმია (იხ. წიგნის ანოტაცია).

მკვლევარი აანალიზებს ალ. ცაგარელის მსჯელობას ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთის, ანუ ამჟამინდელი აბაშის რაიონის ცხენისწყლისპირა სოფლების ენობრივი სიტუაციის გარშემო, რაც მოცემულია 1880 წელს გამოცემულ ნაშრომში – **„მეგრული ეტიუდები“**. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ქართული ენის უპირატესობის შესახებ ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში (ცაგარელი, 1880: VI). ალ. ცაგარელის მიერ დასახელებული სამი სოფლიდან, ავტორის აზრით, ქართული ენა გაბატონებული ყოფილა მაიდანში. მეგრული ენის უპირატესობაზე მიუთითებს სამიქაოში, ხოლო ილორის შემთხვევაში დასძენს, რომ ამ სოფელში ქართულის უმნიშვნელო უპირატესობა ფიქსირდება.

**„მეგრული ეტიუდების“** გამოცემიდან ერთი საუკუნის შემდეგ არსებულ ვითარებას პ. ცხადაიას მიერ მოპოვებულ ტოპონიმურ მასალებში შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: სამიქაოს თემის საკრებულოში (მასში შედის ორი სოფელი: სამიქაო და მაიდანი) დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებად 1986 წელს ჩაწერილი 307 სახელწოდებიდან, მხოლოდ რამდენიმე ერთეულის გამოკლებით, ტოპონიმები ქართულენოვანია და მეგრულენოვანი მასალა ფაქტობრივად არც კი ჩანს. მაშასადამე, ტოპონიმური სურათი ალ. ცაგარელის ნაშრომში მოცემული ვითარებისაგან განსხვავებულია. ასეთივე ვითარებაა სამიქაოს თემის სამხრეთით, რიონ-ცხენისწყლის შესართავამდე მდებარე გეზათის, ქოლობნის, მარნისა და პირველი მაისის საკრებულოებში (ცხადაია, VIII, 2013: 5-6).

ტოპონიმური თვალსაზრისით სხვაგვარი სურათი გვაქვს რიონის მარცხენა მხარეს მდებარე კეთილარის თემის საკრებულოში, რაც სამ სოფელს – კეთილარს, გაღმა კოდორსა და გულეიკარს აერთიანებს. სამტრედიის რაიონის საზღვარზე მდებარე სოფ. გულეიკარში პ. ცხადაიას მიერ 1985 წლის ოქტომბერში ჩაწერილი 43 ტოპონიმიდან თითქმის ნახევარი მეგრულია (გიგოშ ნაქობალუ, დუქანკარი, კოხნარიშ ფართობი, ნოჯიხენი, ჭილაიაშ ნაშარუ...). კეთილარში იმავე წელს ჩაწერილი 116 ტოპონიმიდან ძირითადი ნაწილი მეგრულია, ხოლო ქართულენოვანი ტოპონიმების რაოდენობა ძალზე მცირეა. აბაშის რაიონის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს სოფ. გაღმა კოდორი. აქ ჩაწერილი ყველა ტოპონიმი მეგრულენოვანია.

ნოღელა-ცხენისწყლის შუამდინარეთში, პ. ცხადაიას მოსაზრებით, დასტურდება იმერულ-გურული დიალექტებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების შემცველი ტოპონიმები. მკვლევარი ასახელებს ჰიბრიდული ინტერფერენციის რამდენიმე მაგალითსაც: ქოლობანი (სოფელი) ქოლო (მეგრ. კოდი; წყარო)+უბანი (ქართ.); ბულვანი (სოფელი) ბული (მეგრ. ბალი)+ქართული სადერივაციო ერთეული -ოვან; ჭუბურვანი//ჭუბრ(ოვ)ანი „წაბლნარი“ სახნავი: მეგრ. ჭუბური „წაბლი“+ქართ. -ოვან ( ჭუბროვანი) (იქვე: 7-8).

პ. ცხადაიას მიერ საველე ექსპედიციების გზით მოპოვებულ ტოპონიმურ მასალასთან ერთად სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

აღნიშნული სალექსიკონო მასალა მნიშვნელოვნად ავსებს და შედარებით სრულყოფილად წარმოაჩენს აბაშის რაიონის ტოპონიმიას, კერძოდ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის, ისტორიკოს გივი ელიავას ავტორობით 1977 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ **„აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკას“**, სადაც აბაშის რაიონის ტოპონიმთა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია თავმოყრილი.

იმის მიუხედავად, რომ გ. ელიავას წიგნში ჩვეულებრივ ტოპონიმის შემდეგ მოცემულია არა კონკრეტული ობიექტის დასახელება, არამედ ზოგადი ტერმინი, ამასთანავე, დასახელებულ ტოპონიმთან დაკავშირებული სხვა სახის ინფორმაციებიც ძალზე მწირი და ფაქტობრივად – არაფრისმთქმელია, პ. ცხადაიას სავსებით სამართლიანი შეფასებით, ეს ნაშრომი მაინც ქართული ონომასტიკური ლიტერატურის საჭირო შენაძენად უნდა მივიჩნიოთ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას: ცნობილია, რომ ბუნებრივი და ისტორიული ქარტეხილები იწვევს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის დროთა განმავლობაში დაკარგვას ან შეცვლას. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 60-იან წლებში მარტვილის (მაშინდელი გეგეჭკორის) მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ აბაშის რაიონის სოფლებში ჩაწერილი მრავალი ტოპონიმი არაა ასახული პ. ცხადაიას წიგნში, ანუ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ბატონი პაატა ვერ შეხვდა ისეთ რესპოდენტს, რომელიც დაეხმარებოდა მას გივი ელიავას მიერ 1977 წელს გამოცემულ წიგნში თავმოყრილი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის, სემანტიკისა და მოტივაციის დადგენაში; ე. ი. ამ ორი მეცნიერის სათვალსაწიერო, საკვლევი პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტოპონიმთა ერთი ნაწილის **„სიცოცხლის ხანგრძლივობა“** ხანმოკლე ყოფილიყო; მეორე, სიცოცხლისუნარიან ნაწილს კი ფორმით ან შინაარსით შეცვლილი სახელი ჩანაცვლებოდა.

**იგორ კეკელია,**
**ისტორიის დოქტორი**

# კოლხეთი ათასწლეულთა მიღმა



*საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.*
პროფ. ლევან სანიკიძე

დღეს უკვე მსოფლიოს ყველა წამყვანი მეცნიერი ერთხმად აღიარებს რომ ანტიკური წინაბერძნული კულტურა არ იყო ინდოევროპული ბერძნების შექმნილი, არამედ მაღალგანვითარებული ავტოქტონური ტომების, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, კავკასიური მოდგმის, კერძოდ პელაზგ-კოლხების მიერ იყო დაარსებული. ამაზე მიუთითებს უამრავი არაქართველი, ძველი თუ ახალი ავტორი, ნაპოვნი არტეფაქტები თუ გაშიფრული ოქროს ყალიბებით შექმნილი ხაზოვანი და შემდგომ ამის საფუძველზე ა-ხაზოვანი იეროგლიფური დამწერლობა.

იგივე შეიძლება ითქვას ეგვიპტურ კულტურაზეც. დღევანდელ მკვიდრ მოსახლეობას არანაირი კავშირი არ აქვს იმ მონაპოვრებთან, რაც მათ მემკვიდრეობად დაუტოვეს აბორიგენებმა.

რამდენადაც ასურულ წარწერებიდან სჩანს, ქართველები 1100 წლამდე ქრ. წ. ვიდრე მათ ასურეთის ბატონი ტიგლატ პილესარი არ დაამარცხებდა, უძლეველ ერად ითვლებოდნენ. თვით ასურეთის მეფე ამბობს – მუსკები ჯერ არცერთ მეფეს არასდროს არ დაუმარცხებიაო.

ისტორიის მამა ჰეროდოტე წერს: **„ეგვიპტელები და კოლხები ერთნი არიან, ისინი ერთნაირად ამუშავებენ სელს, ერთნაირად საუბრობენ და გვანან ერთმანეთსო. საინტერესოა ის ფაქტიც რომ მამელუქები, სწორედ ქართველური წარმოშობის ტყვეებისგან იყვნენ წარმოდგენილნი“.**

უილიამ შპრენგელი – გერმანელი მეცნიერი – წერს, რომ **„ეგვიპტური ღვთაებები კავკასიური, კერძოდ პელაზგური წარმოშობისაა“.** აგრეთვე ის თავის ნაშრომებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კოლხეთს.

ჰეგელის სიტყვებით: **„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აღწევს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, თვითგამორჩევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია“.**

წინა ბერძნული მოსახლეობის პელაზგების ეთნოგენეზის საკითხს კვლევის დროს, არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ უძველეს მითებს, რომლებიც წყაროსთვალად ქცეული უხვად ასაზრდოებდა ანტიკური ეპოქის სულიერ კულტურას და ასაზრდოებს დღესაც. მითები ღმერთებზე და ღვთაებრივი წარმომავლობის გმირებზე საფუძვლად დაედო უძველეს ბერძნულ პოეზიას. ძველ ბერძნულ გადმოცემებში მოცულობითა და გავრცელებით გამოირჩევა თქმულებათა სამი დიდი ციკლი – ხომალდ **„არგოს“** მეზღვაურთა მოგზაურობა **„ოქროს საწმისისათვის აია-კოლხეთში“** ე. წ. **არგონავტების ციკლი.** არგოსელთა ბრძოლა თებეს წინააღმდეგ. ე. წ. **თებეს ციკლი.** ბერძენ ტომთა ლაშქრობა მცირე აზიაში მოსახლე ტროელებისა და მათ ციხე-სიმაგრის გასანადგურებლად. ე. წ. **ტროას ციკლი.** ბერძნული და რომაული პოეზიის სახელოვანი წარმომადგენლები თავიანთ უკვდავ ქმნილებებს ამ ციკლებიდან მოზიდულ მასალაზე დაყრდნობით ძერწავდნენ. არ დარჩენილა ხელოვნების არცერთი დარგი, რომელსაც არ აესახოს ანტიკური მითები, განსაკუთრებით თქმულება არგონავტელებზე, პირველ ცნობებს კოლხებსა თუ პელაზგებზე ჩვენამდე მოღწეულ ადრინდელ ძეგლებში ჰომეროსის **„ილიადასა“** და **„ოდისეაში“** ვხვდებით, ეს ნაწარმოებები ძვ. წ. აღ. IX საუკუნით თარიღდება. დღეს მსოფლიოში უამრავი ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას ბერძნულისწინარე კულტურის კავკასიური წარმომავლობის შესახებ. ასეთ ავტორთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამიტომ ძველ ავტორთა გამონათქვამებს დავესესხები.

**ჰომეროსის „ოდისეა“: „გაგეგონებათ კრეტა, ზღვით გარემოცული, დიდნაყოფიერი, მშვენიერი კუნძული, ოთხმოცდაათი ქალაქი დგას ამ კუნძულზე, ხალხმრავალი სხვადასხვა ტომი ირევა აქ: ნამდვილკრეტელნი, აქეველნი, კიდონელნი, სამ თემად გაყოფილი დორიელები და პელაზგების უძველესი ტომი. კნორში ბასილევრად იჯდა სახელგანთქმული მინოსი, რომელიც ცხრა წელიწადში ერთხელ პირდაპირ ესაუბრებოდა მამა ზევსს“** (სხვათა შორის ზევსი პელაზგთა ღვთაებად ითვლებოდა).

**ჰეკატე მილეთელი (VI საუკუნე ძვ. წ. აღ.)** პელენოპესის შესახებ ამბობს, რომ ელინებზე უწინ მასზე მოსახლეობდნენ ბარბაროსები. სტრაბონის თქმით, მთელი ელადა ბარბაროსთა სამკვიდრებელი იყო ძველად. ჰელანიკე მეტილინელი (VI ს. ძვ.წ.) თხზულებებში **„ფორანიდი“**, რომელშიც არგოსის ისტორია იყო გადმოცემული, საბერძნეთის მკვიდრ მოსახლეობად თვლიდა პელაზგებს. იგი წერს: **„ნანას მეფობის დროს, ელინების მიერ პელაზგები განდევნილ იქნენ მაშინ მდინარე სპინეთან, იუნიის უბეში. მათ დატოვეს ხომალდები და აიღეს ქვეყნის შუაგულში ქალაქი კროტონი“.**

**ანტუან მეიე** წერს: **„ყველაზე უფრო საიმედო გზა წინაბერძნული მოსახლეობის ენის გასაცნობად, მცირე აზიის ძველი ენებისა და კავკასიური ენების შესწავლაა. ეს საშუალებას მოგვცემს ძველი ბერძნული ენის ლექსიკაში ავხსნათ ის, რისი ახსნაც ინდოევროპულ ენათა გარემოსთვის შეუძლებელი ჩანს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ნათესაური კავშირის დადგენა კავკასიურ ენებს შორის. კერძოდ, ასურული და ჩრდილო-კავკასურ ენათა შორის“.**

XX საუკუნის მეორე ნახევარში პელაზგთა ეთნოგენეზის საკითხი მწვავედ დაისვა მეცნიერთა წრეში. მათი უმრავლესობა პელაზგთა არაინდოევროპულობას უჭერს მხარს და მათ კოლხურ ტომად აღიარებს. ურუშაძე წერს: **„წინაბერძნული მოსახლეობის ეთნოგენეზის საკითხს კვლევის დროს არსებითი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მითებიდან, თქმულებებიდან მომდინარე და ბერძნულ წყაროებში დაცულ ცნობებს პელაზგების გენეტიკური კავშირის შესახებ იბერიულ-კავკასიური მოდგმის ტომებთან, ქართველურ-კოლხურ ტომებთან და იქვე აგრძელებს – ძველ-ბერძენ და რომაელ ავტორებთან, რომლებმაც თავის მხრივ უძველეს გადმოცემებს ეყრდნობოდნენ, ხშირად ვხვდებით არაპირდაპირ მითითებებს და ზოგჯერ მინიშნებებსაც კი პელაზგებისა და კავკასიური კოლხური ტომების იდენტობის შესახებ. პელაზგელი თესალიელები მცირე აზიელი ტროელები, კუნძულ ლემნოსის მკვიდრი სანიტები, ფეაკიების ტომი და სხვებიც კოლხთა მონათესავე ტომადაა მიჩნეული. ედუარდ დემოლენსი წერს: პელაზგი, პელაზგები უთუოდ კოლხური (მეგრული) სიტყვაა. წარმომდგარი პელაგსნიიდან, რაც ჩქარ ადიდებულ მდინარეს ნიშნავს, როცა მდინარე ადიდდება სამეგრელოში იტყვიან „პელაგონ მოსოფუნსია ანუ წყალი მოვარდაო“.**

ნატალია ჯალაღონია,

*(გაგრძელება მე-10 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

– ჩვენი ხელისუფლების ქცევა ერთ გონებამახვილურ ქართულ ანდაზას მაგონებს: **„გოშია აქეს, აქეს და მგელს შეაჭამესო“...** დღეს, ცხადია, რომ ქართულ საგარეო პოლიტიკაში ჩვენ საქმე გვაქვს შევარდნაძის კურსის ურყევ გაგრძელებასთან. სასაცილოა, როდესაც შევარდნაძე პრესის მეშვეობით სააკაშვილს **„ბრძნულად“** ურჩევს პუტინთან შეხვედრას და საქმის მოგვარებას... საკითხავია, სად იყო მისი ეს სიბრძნე, როდესაც წლიდან წლამდე უარესდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მისი მმართველობის დროს? ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლების სათავეში იმ პირობით მოიყვანეს, რომ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი უცვლელად დარჩებოდა.

თუ ატყობთ, ე.წ. ოპოზიციას, რომელიც სისტემატურად აშშ-ის ელჩის კარებთან დგას და მიღებას ელოდება, ხელისუფლების საგარეო კურსთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. ისიც ყველასთვის გასაგებია, რომ რუსეთთან მტრული ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის და, რაც მთავარია, ქართველი ერისთვის საზიანო და ყოველმხრივ წამგებიანია, მაგრამ, ალბათ, მომგებიანია იმ გარეშე ძალებისათვის, ვისაც ხელს აძლევს ზემოხსენებული **„მყეფარე გოშიას“** არსებობა...

არაერთხელ მითქვამს, რომ ყველაზე საშიში ჩვენთვის იქნება ვარიანტი, როდესაც აშშ და რუსეთი ერთმანეთში მოილაპარაკებენ საქართველოს გაყოფის თაობაზე. მოგეხსენებათ, **ნატო**-ს არც აფხაზეთი, არც ცხინვალის რეგიონი არაფრად სჭირდება. ამიტომ საქართველოს გაყოფა მათთვის კარგი გამოსავალია. მე არ მჯერა, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული ქართული სულისკვეთების ნაკლებად მქონე ახალგაზრდები ტრაგიკულად აღიქვამენ აფხაზეთის დაკარგვას. ჩვენ ხომ აფხაზეთი ქართველი ერის გამრავლება-განვითარებისთვის გვჭირდება, მათ კი, როგორც ეს ბოლო მოვლენებიდან გამოჩნდა, რუსეთში მცხოვრები ასი ათასობით ქართველის ბედიც არ ანაღვლებთ, ანუ არ აწუხებთ ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საზოგადოებრივი სუბიექტი, ვისაც შეიძლება საღი აზრით მიმართო და ვისაც რეალურად ძალუძს ვითარების შეცვლა.

ჩვენთან დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ქართული საზოგადოება, როგორც ცოცხალი ეროვნული ორგანიზმი, დღემდე არ არსებობს აღიარებული საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ხელისუფლების პოლიტიკაზე. არც ინტელიგენცია არსებობს, ვისაც ჩამოყალიბებული აქვს ერთიანი ეროვნულად ორიენტირებული მსოფლმხედველობა. ასეთ შემთხვევაში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ერთ პიროვნებას – ქვეყნის პრეზიდენტს.

საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ავტორიტარული მმართველობის მქონე სახელმწიფოში, მთელი ბიუროკრატიული სისტემა ქვეყანას კი არა, ქვეყნის პირველ პირს ემსახურება. ჩინოვნიკი იმას კი არ აკეთებს, რაც ქვეყნისთვისაა სასარგებლო, არამედ იმას, რასაც ზემდგომი მიიჩნევს საჭიროდ.

ამიტომ, კატასტროფის შემთხვევაში მთელი ჩინოვნიკური აპარატი ყველაფერს პრეზიდენტს გადააბრალებს. მიხეილ სააკაშვილს ეს უნდა ესმოდეს. დღეს მხოლოდ მას ეკისრება ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებლობა. არავის გაახსენდება რომელიმე მოლაყბე პარლამენტარის თუ მინისტრის ვინაობაც კი, მაგრამ ყველას ემახსოვრება, რომ ესა თუ ის მოვლენა სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იყო.

დღეს არავის ახსოვს შევარდნაძის დროინდელი პარლამენტის წევრები თუ მინისტრები (ვგულისხმობ იმათ, ვინც ახალ ხელისუფლებაში ვერ გადაბარგდა), მაგრამ ყველას ახსოვს, რომ შევარდნაძის დროს დაინგრა, დაიშალა და განადგურდა საქართველო.

პრეზიდენტმა და პოლიტიკურმა ელიტამ (თუკი ასეთი რამ საქართველოში ნამდვილად არსებობს) უნდა გააცნობიერონ რამდენიმე აქსიომა: 1) ნებისმიერი უცხო ქვეყნის რჩევა, მოწოდება თუ კარნახი განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ ქვეყნის ინტერესებით. სხვა ქვეყნის მიერ საჯაროდ დეკლარირებული ზრუნვა, გულისტკივილი და ქართველთა კეთილდღეობაზე წუხილი დემაგოგიური რიტორიკაა და მეტი არაფერი. ეს არის ნიღაბი, რომლის მიღმა მხოლოდ საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები იმალება. ამერიკას საქართველო სჭირდება მხოლოდ როგორც ვაჭრობის საგანი რუსეთთან ურთიერთობებში. შეიქმნება სათანადო სიტუაცია და საქართველო გაიცვლება უფრო მნიშვნელოვან საგანზე. 2) საქართველო ვერასოდეს გახდება ისეთი ძლიერი ქვეყანა, რომ ძალით დაუპირისპირდეს რუსეთს, თურქეთს ან ირანს და ვერასოდეს გამოინახება ისეთი მოკავშირე, ვინც ჩვენი გულისთვის რომელიმე ქვეყანასთან სამხედრო დაპირისპირებაზე დათანხმდება. არავითარი „მსოფლიო თანამეგობრობა“ ჩვენ არ გვიშველის, ვინაიდან ასეთი ბუნებაში არ არსებობს. 3) ის გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანა თანასწორუფლებიანია და ძალას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება – ტყუილია და ხალხის დასაბნევად არის მოგონილი. დღევანდელ მსოფლიოში, ისევე, როგორც ასი, სამასი თუ ხუთასი წლის წინ, ძალა და ინტერესები კვლავ რჩება მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად. ძველებურად მოქმედებს ერთადერთი პრინციპი: ძლიერი ყოველთვის მართალია, ხოლო უფრო ძლიერი კიდევ უფრო მართალი. **„დემოკრატიის ბურჯად“** წოდებული შეერთებული შტატები, მიუხედავად თავისი დემოკრატიული დემაგოგობისა, როგორც კი სადმე გარკვეულ ინტერესს გაიჩენს, მაშინვე არამცთუ ეკონომიკურ ემბარგოებს მიმართავს ხოლმე ამა თუ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ უმოწყალოდ ბომბავს მათ, იქ ჯარიც შეჰყავს და ქვეყნების პირდაპირ ოკუპაციასაც არ ერიდება.

სენტენცია **„დიდმა არ უნდა დაჩაგროს პატარა“**, რომლის იმედიც აქვთ ჩვენს პოლიტიკოსებს, ბლეფია და ამის ნათელ მაგალითს აშშ-ის და კუბის ურთიერთობა წარმოადგენს. თურქეთმა კვიპროსის ნაწილის ანექსია მოახდინა, აღიარა იგი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ყველა ამას შეეგუა, არადა, თურქეთიც და საბერძნეთიც **ნატო**-ს წევრები არიან. რაც შეეხება სახელმწიფოთა თანასწორობას, ამ სიცრუისა მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო ადამიანებს სჯერათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველო და აშშ თანასწორუფლებიანია, ან შეიძლება ოდესმე ასეთი გახდეს – ეს თვით ამ **„იდეალისტის“** პირადი დრამაა. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენსა და რუსეთს თუ თურქეთს შორის ურთიერთობაზე მარტივი მიზეზის გამო: ისინი დიდნი არიან და ძლიერნი, საქართველო კი – პატარა და სუსტი. 4) პატარა სახელმწიფოებს, მით უმეტეს, ისეთი სახიფათო მდებარეობის მქონეთ, როგორიც საქართველოა, საგარეო პოლიტიკურ არენაზე დიდი დიპლომატიური ნიჭი, უნარი, მოქნილობა და ძალისხმევა მართებთ. ეს კარგად ესმოდა ზოგიერთ ჩვენს მეფეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იცის დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ. დიახ, ჩვენი იარაღი ნეიტრალიტეტია, ყველა სახის დიპლომატია, მნიშვნელოვან ქვეყნებში ავტორიტეტული, პროქართული ლობის შექმნა და ყველას მიმართ კეთილგანწყობის დემონსტრირებაა.

ამ აქსიომებით ხელმძღვანელობისას ჩვენ რეალურად შეგვიძლია ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ფენომენის გადარჩენა და შემდგომი განვითარება.

დღეს კი, ბოლო წლების პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მტრულად განწყობილ რუსეთთან პირისპირ აღმოვჩნდით. ეს ნათლად უნდა გავაცნობიეროთ. ხომ ხედავთ, რომ სუამის ქვეყნებმაც კი მხარდაჭერაზე უარი გვითხრეს. ამჟამად საჭიროა ყველა, ჯერ კიდევ არსებული რეზერვის ამოქმედება რუსეთთან ორმხრივი დიალოგის დაწყებისათვის და დაგროვილი უამრავი პრობლემის თანმიმდევრული მოგვარება. ამას სჭირდება აუცილებელი პოლიტიკური ნება, მაღალი პროფესიონალიზმი და, სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი დრო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის მიერ არანაირი შუამავალი ამ პროცესში დაშვებული არ იქნება; უფრო მეტიც: პრეზიდენტების შეხვედრაც მიმდინარე ეტაპზე შეუძლებელია. მის მომზადებას წინ საკმაოდ შრომატევადი პერიოდი უნდა უძღოდეს. დრო კი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა გვაქვს.

# ტელე-მკვლელები!

**ტელე-მკვლელები** სწორედ ასე დავარქმევდი მათ, ვინც დღეს ტელეეკრანებიდან გარყვნილებას ემსახურება და მარაზმს ღაღადებს!

ქართული მედიასაშუალებების დიდი ნაწილი სწორედ ამ ყველაფრის პროპაგანდას ეწევა, ეს ყველაფერი კი დღითიდღე უფრო საშიშ სახეს იღებს ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობისათვის!

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ამ ყველაფერს ქართველის გონება ჩადის!

**დღეს შეუძლებელი ხდება, პატარა ბავშვებთან ერთად ტელევიზორის ყურება, რადგან გადაცემების ნაწილში ტრანსექსუალები, გეი და ლესბოსელები ვაი-საპატიო სტუმრებად ჰყავთ მიწვეულნი და უშედეგოდ ცდილობენ გვესაუბრონ თავიანთ უზნეო ზნეობაზე!**

**ასევე, ხშირად გვესმის მართლმადიდებელ სასულიერო პირებზე ათასგვარი უსამართლო, სრულიად უსაფუძვლო ჭორები, რასაც შემდეგ ფართოდ უწევენ აგიტაციას, და გარკვეულ წილად დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს დედა ეკლესიას, ამ ყველაფრით კი ცდილობენ საყრდენი ბოძი გამოაცალონ ქართულ სახელმწიფოებრიობას, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ჩვენ სიმართლის მადიდებელი ერი ვართ!**

**შეუძლებელია კარგი თქვა ქართულ სერიალებისა და ფილმების დიდ ნაწილზე, სადაც ბილწსიტყვაობის კორიანტელი ზეიმობს და გარყვნილება ყოველგვარ საზღვრებს სცილდება! მე მინდა ასეთი ფილმის რეჟისორებს შევახსენო, თუ საიდან იღებს ქართული ფილმი სათავეს და რა ტრადიციებსა და სიმდიდრეებს ფლობს ის!**

**წარმოუდგენლად დიდი ზიანის მომტანია პატარა ბავშვებისათვის, ასევე, მულტფილმები, სადაც ომი და ძალადობაა ნაჩვენები, რომელიც მაქსიმალურად ებრძვის, ანადგურებს ბავშვებში სიკეთესა და სიყვარულს!**

**მსოფლიოს იაფფასიანი კინოსერიალები, რომლებსაც ყველაზე დიდი ადგილი აქვს შეჭმული ქართულ მედია სივრცეში, როგორც სარეველა, ისეა მოდებული ჩვენს ქვეყანაში, თავისი ცუდით და კარგით, რითაც ჩვენს ძვირფას ქართულ კინოსერიალს საკუთარ მიწაზე, აღმოცენების საშუალებას არ აძლევს!**

**რაც შეეხება საინფორმაციო გადაცემებს, ისინი, მიზანმიმართულად ცდილობენ დაიწყონ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ისეთი თავზარდამცემი ამბებით, როგორებიცაა: არასრულწლოვანთა სუიციდის ფაქტები, თუ როგორ მოკლა შვილმა მშობელი, ძმამ-ძმა, ან ქმარმა – ცოლი, და ასე შემდეგ, რადგან ერთმანეთის მკვლელებად გამოგვიყვანონ ერთმანეთის მოყვარე ქართველები!**

**ამას ემატება ძალადობა, პროსტიტუცია და ნარკომანია!**

**ქართული არხებზე მაქსიმალურად ნაკლები დრო ეთმობა ქართულს!**

**ისეთ გადაცემებს როგორებიცაა: შემეცნებითი, რელიგიური, ისტორიულ, გეოგრაფიული და საბავშვო.**

**ასევე დიდი და ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისიცაა, რომ სამაუწყებლო კომპანიების უმრავლესობა პოლიტდამქაშების როლს ასრულებს და ამა თუ იმ ძალის პოლიტიკურ აზრს ემსახურება რითიც დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე!**

ეს არის იმ სიბინძურის, დიდი და ძირითადი ნაწილი, რისი ყურებაც უწევს დღეს მოზარდ თაობას ტელევიზორის მეშვეობით.

ხოლო ისინი კი, ვინც დღეს ამ საქმიანობას ეწევა, არიან **ტელე-მკვლელები,** რომლებსაც სურთ ქართველები ზომბებად გვაქციონ, ხშირ შემთხვევაში მათ საქციელს დაცინვას დავარქმევდი!

ეს ყველაფერი ახალგაზრდების გონების განადგურებას ისახავს მიზნად რათა ისინი ჩამოაშორონ ქართულ კულტურას, ისტორიას, მართლმადიდებლობას!

ეს არის ბრძოლა, რომელსაც, ჩვენდა საუბედუროდ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ქართული საზოგადოება და, ტელევიზიის დიდი ნაწილი დღეს, როგორც იარაღი, ისეა გამოყენებული ჩვენი მომავალი თაობის, ჩვენი მომავლის წინააღმდეგ!

მაგრამ, ღვთის წყალობით, ამ ყველაფრის მიუხედავად, ქართულ მედიასივრცეში მაინც მოიძებნება ისეთი სამაუწყებლო კომპანიები, **რომელნიც ქართული გულით ემსახურებიან ქართულს,** დარწმუნებული ვარ, სიკეთით სავსენი იბრძვიან ბოროტებასთან გასამარჯვებლად, და ამ ბრძოლაში ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!

**რადგან მათ მიერ გაშუქებულ თითოეულ მოვლენას, გადაცემას, შოუს, ფილმს, საინფორმაციო გამოშვებას თუ სხვა, იციან, რომ უყურებს სრულიად საქართველო, მათ უყურებენ მათი შვილები, უყურებს საქართველოს მომავალი!**

**გოგიტა ჯვებენავა,**
**მხატვარი**

## „თქვენ მამა მომიკალით, იცოდეთ, არ გაპატიებთ და განაჩენსაც მე გამოგიტანთ“ – ზურაბ ჟვანიას ვაჟს ბარამიძე ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს

ბათუმში, ზურაბ ჟვანიას ვაჟმა ბესარიონმა, პარლამენტარ გია ბარამიძეს განაჩენი გამოუტანა და სცემა, – წერს პრესა. შემთხვევა ბათუმის ერთ-ერთ კაფეში მოხდა.

**„გია ბარამიძე და ბუსა ჟვანია ბათუმის ერთ-ერთი სასტუმროს ჰოლში ერთმანეთს შეხვედრიან. ბარამიძე ჟვანიას ვაჟთან მიდის და იწყებს საუბარს: „მე მამაშენის ყველაზე ერთგული მეგობარი ვიყავი, მისი სულის წინაშე მართალი ვარ, ჩემი გაზრდილი ხარ და მინდა ეს იცოდე, მამაშენისთვის არ მიღალატიაო. ბუსა ჟვანია ცდილობს, ბარამიძე ძალიან ზრდილობიანად მოიცილოს თავიდან, მოკრძალებულად პასუხობს: საკმარისია, დაასრულე საუბარი.. მაგრამ ბარამიძე ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ბუსა მის ვაჟკაცობაში დაარწმუნოს... ბარამიძის უნამუსობით გაცეცხლებული ბუსა ჟვანია ამდენი უსამართლობის მოსმენის ფონზე მდგომარეობიდან გამოდის და ბარამიძეს თავ-პირს უერთიანებს. ჟვანიას ბარამიძისთვის თავში ისე ჩაურტყამს, სისხლიც კი წამოსვლია. ბოლოს კი სულ პანღურით გაუგდია ბუსას შეძახილებით: „გეტყობათ ყველას, როგორი მეგობრებიც იყავით, არაკაცები ხარ და კიდევ ბედავთ, თავს იმართლებთ და შავზე მიმტკიცებთ თეთრიაო. თქვენ მამა მომიკალით, თქვენი ცხოვრებით შეურაცხყოფთ მამაჩემის სულს, ყველამ იცოდეთ, არ გაპატიებთ და განაჩენსაც მე გამოგიტანთ”,** – წერს გაზეთი წყაროზე დაყრდნობით.

„დასისხლიანებული ბარამიძე ძლივს გამოუგლეჯავთ ჟვანიას ხელიდან. მეორე დღეს გამწარებული ბარამიძე ბუსა ჟვანიას მობილურ ტელეფონზე **„ეს-ემ-ეს-ებს“** უგზავნიდა: **„...ეს რა გამიკეთე, ბუსა? მე რატომ? რატომ?..”**

**„ნაცმოძრაობაში” ბარამიძის ცემა-ტყეპას მკაცრად ასაიდუმლოებენ”,** – წერს გაზეთი.

**„ნაციონალური მოძრაობის”** წევრი გიორგი ბარამიძე კი გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და განცხადებას ავრცელებს.

**„სახელისუფლებო არხებით გავრცელებულ ინფორმაციაზე, ჩემი და ჩემი უახლოესი მეგობრისა და ლიდერის შვილთან (რომელიც ჩემს თვალწინაა გაზრდილი) ბუსასთან დაკავშირებით, მინდა ვთქვა, რომ ისევე როგორც ზურას ოჯახის სხვა წევრებთან (რომლებიც პირველ ყოვლისა, არიან ზურას გარდაცვალებით გულმოკლულები) დაპირისპირება არასდროს მქონია და არც მექნება.**

**მე ზურას საქმესთან დაკავშირებით პირველ ყოვლისა ის მაღელვებს, რომ კვლავ გრძელდება ზურას სახელით სპეკულაცია და მისი ხსოვნის შეურაცხყოფა.**

**მეც და ზურას სხვა მეგობრები ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ზურას ხსოვნას მომავალში შესაბამისი პატივი მიეგოს”,** – აღნიშნავს ბარამიძე.

**საქინფორმი**

# ამრამ პეტროსიანი: სომხური დიასპორა აფხაზეთში "ეკონომიკური რევოლუციისთვის" ემზადება

*(თუ აფხაზებმა არაფერი იღონეს, სომხები მალე აფხაზეთს "გადაყლაპავენ")*



საერთაშორისო ცენტრის **"ინვესტიციური სტრატეგიების"** თავმჯდომარის ამრამ პეტროსიანის განცხადებით, მსოფლიოს სომხური დიასპორის მიერ გამოყოფილია ფული, რომელსაც აფხაზეთის განვითარებისთვის გამოიყენებენ.

**"მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ის დაუმსახურებლად რჩება საინვესტიციო შემოსავლების და პროექტების გარეშე, რომელიც სერიოზულ ბიძგს მიცემდა ქვეყნის განვითარებას. ნეგატიურ როლს თამაშობენ 1992 წლის ომის მოგონებები და ქართული პროპაგანდის სხვადასხვა ლეგენდები, რომლებიც ცდილობს, ნებისმიერი პოზიტიურ წამოწყებას ხელი შეუშალოს აფხაზეთში. ამასთან, აფხაზეთი ფლობს წარმოუდგენელ გეოგრაფიულ და ბუნებრივ კლიმატურ პოტენციალს. ეს არის ფენომენალური შეხამება მთების, ზღვის, სუბტროპიკის და უნიკალური ლოჯისტიკის. ეკონომიკის ექსპერტების აზრით, ქვეყანას განვითარებაში ხელს ინვესტიციების არქონა უშლის.**

**აფხაზები ძალიან ჭკვიანი და ხალხია, მაგრამ მათ ჯერ არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გარღვევების გაკეთება ამ მიმართულებით. ამისთვის საჭიროა ფული, რაც რესპუბლიკას არ გააჩნია. ჩემი აზრით, გამოსავალი აფხაზეთის მეგობარი ეთნიკური დიასპორების სახსრების მოძიებაა. აქ კი, პირველ რიგში, მახსენდება მრავალსაუკუნოვანი საერთო ისტორია და მეგობრობა აფხაზი და სომეხი ხალხებს შორის.**

**დღეისათვის, ფინანსური ანალიტიკოსების გამოთვლით, მსოფლიო სომხური დიასპორის ინვესტიციური პოტენციალი 400 მილიარდ დოლარს შეადგენს. წარმოიდგინეთ, ამ ფინანსების პატარა ნაწილი მაინც რომ აფხაზეთის ეკონომიკისკენ მიიმართოს, ეს მოახდენს ნამდვილ რევოლუციას რეგიონის ეკონომიკურ სურათში და ყველაზე ამბიციური პროექტების განხორციელების საშუალებას შექმნის. მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონის, პორტების აღდგენა და მოდერნიზაცია, ტურიზმის საერთაშორისო ცენტრის განვითარება, მსხვილი აგრარული კომპლექსის მთელი ციკლის შექმნა. და კიდევ მრავალი რამის გაკეთებაა შესაძლებელი საკმარისი ფინანსებით. წინ ბევრი სამუშაოა და ის წარმატებულად ჩაივლის,"** – აცხადებს პეტროსიანი.

*"ილორი"-ს კომენტარი: ჩვენ არაერთგზის ვაფრთხილებდით ჩვენს აფხაზ ძმებს, რომ სომხები როდისმე აუცილებლად მოიწადინებდნენ ვერაგული ჩანაფიქრის განხორციელებას, რაც გულისხმობს აფხაზეთის გასომხებას, რადგან უკანასკნელ პერიოდში ამ რეგიონის გარშემო მოვლენები სწორედაც რომ სომხური სცენარით ვითარდებოდა.*

*აფხაზეთში სომხური პროგრამის განხორციელება ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო სომხეთის პატრიარქმა ვაზგენმა, რომელიც 5.000 მანეთს აძლევდა საჩუქრად იმ სომეხს, რომელიც დასტოვებდა ისტორიულ სამშობლოს და გადასახლდებოდა აფხაზეთში ან სოჭის ოლქში. მათვე უტოვებდა საჩუქრად სომხეთში გაყიდული სახლისა და კარმიდამოს ღირებულებას. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სომხების მასიური დასახლება აფხაზეთსა და სოჭის ოლქში. მალე აფხაზეთში სომხების რაოდენოდა 16 ათასამდე გაიზარდა, დღეს კი, მას შემდეგ, რაც სომხების "ბაგრამიანის ბატალიონმა" იარაღით ხელში მხეცურად მოუსწრაფა სიცოცხლე ათიათასობით ქართველს და სამასი ათასი ქართველი გამოყარა წინაპართა საცხოვრისიდან, აფხაზეთში სომხების რაოდენობა უცებ გაიზარდა 80 ათას კაცამდე.*

*თუ გავითვალისწინებთ სომხურ-დაშნაკურ მენტალიტეტს, როცა თურქეთის გენოციდს გამორიდებული სომხები ძმებივით შევიკედლეთ, სარჩო გავუჩინეთ და სიცოცხლე დავუნარჩუნეთ, და შემდეგ კი ამ ტერიტორიებს გვედავებიან, წარმოიდგინეთ როგორ მოიქცევიან ისინი აფხაზეთში, სადაც იარაღით იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ.*

*იციან სომხებმა, რომ ძალისმიერი მეთოდებით ვერ მოახერხებენ აფხაზების გასომხებას, რადგან ამას საერთაშორისო საზოგადოება არ დაუშვებს და ამიტომაც დიდი ფულით უნდათ აფხაზეთის ყიდვა. ფული კი, როგორც იცით, "ჯოჯოხეთსაც კი ანათებს" და თუ აფხაზეთის ხელისუფლებამ ცთუნებას ვერ გაუძლო და ხელი წაუცდა სომხების მიერ შემოთავაზებულო ფულზე, ეს აფხაზეთის დასასრულის დასაწყისი იქნება!*

*ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზი ძმები მოსალოდნელი სერიოზული საფრთხის თაობაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ყურად არ იღეს ჩვენი რჩევა, რაც შეიძლება მძიმე განსაცდელად მოუბრუნდეთ მათ. ამიტომაც მიგვაჩნია აუცილებლად, რომ აფხაზებმა წინასწარ მიიღონ ზომები და არ გაებან დაშნაკთა მიერ დაგებულ ხაფანგში, რადგან შემდეგ ვერასოდეს განთავისუფლდებიან მათი მარწუხებისაგან!*

# „მმართველი გუნდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფინანსებს მედიას, რომელიც ნაციონალურ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის და „კრემლის „რბილ ძალას" წარმოადგენს" – საპარლამენტო და სექსუალური უმცირესობები გაერთიანდნენ!



ამასწინანდელ ბრიფინგზე საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა სააკაშვილის პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან"** ის მედიასაშუალებებიც დაასახელეს, რომლებსაც მათი თქმით, ხელისუფლება 2013-2014 წლებში აფინანსებდა. მათ შორის, გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა"** – 69 923.33 ლარი, მედიაკავშირი **„ობიექტივი"** – 52 167,84 ლარი, გაზეთები **„ალია"** და **„კვირის პალიტრა"** – 48 650 ლარი, გაზეთი **„ასავალ დასავალი"** – 1200 ლარი. ასევე აღნიშნეს, რომ 2015 წელს მხოლოდ ერთი გადაცემისთვის ტვ **„ობიექტივმა"** გადარიცხვით მიიღო 68 616.01 ლარი.

**„ივანიშვილის მთავრობა, ცალკეული სამინისტროები აფინანსებენ ისეთ მედიასაშუალებებს, რომლებიც გამოირჩევიან სიძულვილის ტირაჟირებით სხვადასხვა უმცირესობების მიმართ და ანტიდასავლური, პრორუსული პროპაგანდის გაღვივებით. ასეთია მედიაკავშირი „ობიექტივი",–** განაცხადა **„ნაცმოძრაობის"** ახალმა აღმასრულებელმა მდივანმა, საპარლამენტო უმცირესობის სახემ სერგო რატიანმა.

**„ეს მედიასაშუალებები არა მხოლოდ სიძულვილის ენას ავრცელებენ სხვადასხვა უმცირესობის მიმართ, არამედ აწარმოებენ ღიად ანტიდასავლურ პროპაგანდას, ღიად პრორუსულ პროპაგანდას, რითაც ღია საფრთხეს უქმნიან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საფუძვლებს და წარმოადგენენ კრემლის ე.წ. რბილი ძალის კამპანიის ინსტრუმენტს, რომელიც გააქტიურებულია საქართველოში",–** აცხადებენ **„ნაციონალურ მოძრაობაში"**.

საქინფორმი შეგახსენებთ, რომ **„ნაციონალების"** ბრიფინგი წარმოადგენს **„საქინფორმისა"** და **„საქართველო და მსოფლიოს"** წინააღმდეგ კამპანიის გაგრძელებას, რომელიც აშშ-ის სახდეპის მითითებით დაიწყო, რის შესახებაც ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ მკითხველებს არნო ხიდირბეგიშვილის პუბლიკაციებში „თუ ორივე ირაკლი – **„დემოკრატი"** ალასანია და **„ჟურნალისტი"** მანაგაძე – ბოდიშს არ მოიხდიან ან არ დაამტკიცებენ, რომ **„საქინფორმმა"** მილიონები მიიღო რუსეთიდან, მწარედ ინანებენ! და **„მე გავაფრთხილე პრემიერ-მინისტრი, რომ საქართველოსა და საქინფორმის ყველა მტერი დღეს ივანიშვილისა და ღარიბაშვილის დაუძინებელი მტერი გახდა! საქართველოში სეკვესტრს უნდა დაექვემდებაროს არა სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ თვით პრეზიდენტი მარგველაშვილი"**.

საქინფორმის ინფორმაციით, ერთ-ერთი მთავარი ნაციონალისგან ისტერიის ახალი ტალღა სააკაშვილის მორიგი ბრძანებით დაიწყო ქართველი ხალხის მკვეთრად უარყოფითი რეაქციის შემდეგ აშშ-ში გეი-ქორწინებების დაკანონებაზე.

საქინფორმი შეგახსენებთ, რომ ქართული მედიის მიერ საქართველოს მთავრობის რეკლამისთვის კუთვნილი თანხების მიღებაში ადანაშაულებენ ისინი, ვინც 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მილიარდობით დოლარს იღებდა აშშ-ის მთავრობისგან საქართველოს – ამერიკის კოლონიად, ხოლო ქართველი კაცებისა და ქალების – უცხოელების მოსამსახურეებად და ხასებად გადაქცევაში.

საქინფორმი შეგახსენებთ, რომ დღეს „რბილი ძალებისა" და **„ნაციონალური უსაფრთხოების"** შესახებ აცხადებენ **„ნაცანალები"**, რომლებიც ანალურ ხვრელში ცოცხების **„მაგარი ძალით"** 10 წელი აწამებდნენ ათობით ათას ადამიანს ციხეებში!

საქინფორმის ინფორმაციით **„ნაცმოძრაობის"** ცენტრალური ოფისიდან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში **„ნაცანალური მოძრაობა" ლგბტ**-თანამეგობრობასთან კოალიციაში წარმოდგება, რადგან საქართველოში საპარლამენტო და სექსუალურ უმცირესობას – სააკაშვილის ექსმმართველ პარტიასა და პედერასტების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების კავშირს შორის პრაქტიკულად არ დარჩა **„იდეოლოგიური"** განსხვავება...

**საქინფორმი**

## პოეზიის კუთხე

### ვაიჭარობაშ სონეტი

უჸვაიჭარობას მევენდურით, მუზმა წანა რე,
დუც მინმორენა ნაჭვემერი კაპან ლაკადა,
ქიმიკორინე ჩქიმ ძირაფა, ართშახ, აკა-და,
თინა, გიჩქუდას, უჩურცხალი აკოთანა რე.

შეხვამილაფა, თოლკინდაფა შურიშ ღვალა რე,
ქიშევბორკითგ, ქგგმოკირეს ბორჯიშ აკათა,
ვეხიოლუა, დიო შარა ვარე ნაკვათა,
ირიათონიშ გალე ოკო ქიმკიღანდარე.

მიჩქუ, ბრელს აფგ ნაკითხირა ჩქინდა მორალი,
ჯამუ ორდი დო გოლვაფირო, მუშენ დელახი?
სქან დუდი კინე შორც მაფუნო აკაგორალი?

სო მითიქოსი ჩხანაცალო, სო რე გელახი?
წანეფ მომიღგ ართიანშა მიოფორალი,
ჭვენცგ დო ხიბას გართუაფგ უჩა მელახი.

**გიორგი ხულორდავა**

2014 წანა ფურთუთა
ოფუტე სალხინო

### ზოთონს ტყაშა ქოუჭიშუაფუ ჯუნა

ზოთონუ ტყაშა ქოუჭიშუაფუ ჯუნა,
ჯალემც შურო მუთუნი ვამკაქუნა,
ჰავას დღხაგთრით გოუფირს.
თუთა დ ხას ნანას ქოუბირს.
ორულუანც ჭიჭე ჩქგჩქ შორო,
თუთა ლ ხის მურიცხზკმა წორო.
ზღვა ილენც, ზღვას ფერი გეძ სარკო,
თენა ირფელი ჩქიმდა მოურც არკო,
გუმოშინანც ბაღანობაში წანას,
ქარ-ბორიას ჭვემას დო ჩხანას,
გუშოშინანც ყვალით ეფშა დერგოს,
ორტვინიშ კარც, მუკოპონილ ბერგის.
ამსერი თუთა დ ხას მულანც შანას,
ოჩო-კოჩი გომხაჩქ ნეც ვანას,
ტურა ქოთომც ქემიოხირანც ბების
გეგნირულე ონტოფო-დო რეფის
კემლა-კესა ეკილენც ზღვაშე
ტურას ტყების ქომკაქუნანც კვარჩხშე
ოჭმარე ბორჯი უკვე იჭყანც რავალც
ბჟა თუთას დოუზადუნც წამალს
სერიში არიკი, მიდა უნუ წყარმალც
მუმლი იონ, ქოთომ ხოლო კარკალც.

### ქორშუდა ბაბუ, ქორშუდა

ქორშუდა ბაბუ, ქორშუდა,
ქოდვანთხე დო ვიშო დობღურდა.
ჩქიმი საფლეში ეკუ-ლათ ვაშურდა
ჩქიმი სახელი ქოშინე გოქურდა.

ორკოლით ღვინი გეკიღი, მოჩხონე
ღვინი მისხუნ ორქოშა, მომჯღონე.
სქანი ხანდა მონკარე ვეწონე
თეიშა რდა სონდარო ვარბონე.

ჩქიმ უკული სი ოკო ხონე,
ტყარ უშქურ ოკო ონე
სქვამ ცირა ოკო მი ონე
ოჯახის ორანი გი ონე.

დიკე ზღვა, ეკირე შონე
ჯშირ დო ფური სი ოკო წონე
სქან ხეს-რე ფურნე დო თონე
თეშ იბირი მა ქეგუბგონე.
მოჩხონე ბაბუ, მოჩხონე.

**ჯემალ პერტაია, ტომბა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლიდი

**“ფლიდი არს, ვინცა ოდენ ენოვანებითა მოიმადლოს კაცი და აქმნიოს ნება თვისი, სიცრუვითა ამაონი, და არა-რა შეირცხვინოს...”**
**სულხან საბა ორბელიანი**

განმარტებაში ნათლადაა ჩამოყალიბებული ფლიდი კაცის მენტალიტეტი – **“ოდენ ენოვანებითა მოიმადლოს კაცი და აქმნიოს ნება თვისი”**-ო. და რაც მთავარია, ამ საძრახისი საქციელის მას სრულიადაც არ სცხვენია, რადგან მთავარი მისთვის მიზანია და რა საშუალებით მიაღწევს ამ მიზანს, მაკიაველის თქმისა არ იყოს – სულ ცალ ფეხზე ჰკიდიაო!

დიახ, მიზანი რომ საშუალებას ამართლებს, ეს ფსიქოლოგიის დოქტორ გიორგი მარგველაშვილზე კარგად ბევრს არ ეცოდინება და სწორედ ამიტომაც შეასაღა თავი ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის გულდამწვარ ჭირისუფლად, პრეზიდენტად არჩევიდან მეორე დღესვე კი გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი პოლიტიკური სახე და ურცხვად ჩადგა იმ **“ნაციონალთა”** რიგებში, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ურყევდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბურჯს! უსირცხვილო კაცი კი, უთავმოყვარეოც გახლავთ და ამგვარი გადაგვარებულისათვის ქვეყნის ბედის ნდობა უაღრესად სარისკო საქმეა. მაგრამ, ღმერთმა დაგვიფარა, რომ **“პლასტელინა”** მარგველაშვილს იმდენი უფლებები აღარა აქვს, რაც მის წინამორბედ თავქარქაშა სააკიანცს ჰქონდა, თორემ საქართველო უკვე კარგა ხნის დამხობილი იქნებოდა, რადგან კიდევ ერთ სააკიანცს ჩვენი ბედკრული სამშობლო ნამდვილად ვეღარ გაუძლებს! დიახ, სააკიანცმა, რომელიც ხელისუფლების დათმობას არ აპირებდა, სპეციალურად გააძლიერა პრემიერ-მინისტრის უფლებები პრეზიდენტის უფლებების ხარჯზე, რადგან კონსტიტუციის თანახმად ამ პოსტზე მესამედ კენჭისყრა აღარ შეეძლო და ახლა პრემიერის რანგში აპირებდა საქართველოს საბოლოოდ დაქცევა-განადგურებას!

მართლაც ღვთის წყალობა გახლდათ, ამ მძიმე ჟამს, საქართველოს პოლიტიკურ ცისკიდურზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა!

თუმცა, იმ დიდ სიკეთეს, რაც მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენას (ნაციონალებისა და დაშნაკი სააკაშვილის განიარაღებაზე დიდი სიკეთე რა უნდა მოჰმადლებოდა საქართველოს 2012 წელს?!), ოდნავ გაუხუნა ელვარება მარგველაშვილის სიფლიდემ, რომელიც ბიძინას მხარდაჭერის გარეშე არამც თუ საპრეზიდენტო სავარძელში, არამედ საკუთარ სახლში (დუშეთში) ბუხრის პირას იჯდებოდა და წინდების ქსოვაში გაატარებდა დროს, მაგრამ, როგორც ჩანს, მარგველაშვილს მის ასაკთან შედარებით ძალიან ადრე დაემართა პოლიტიკური ამნეზია და ეს ყველაფერი დაავიწყდა. ახლახან კი იმდენად გათავხედდა ეს არარაობა, რომ მმართველი კოალიცია დაამუნათა და მის ხელმძღვანელობას საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული წინასაარჩევნო დაპირება შეახსენა: მართლაც, დოკუმენტებში ნათლადაა საუბარი იმის თაობაზე, რომ უნდა შეცვლილიყო მაჟორიტარული სისტემა და უფრო **“სამართლიანი”** საარჩევნო სისტემა უნდა ჩამოყალიბებულიყო. ამით თითქოს კბილი გაჰკრა ივანიშვილს – შენს სიტყვას ფასი არა აქვს, ცრუპენტელა და გადამგდები ხარო!

სწორედ ამას ჰქვია: **“ჩემი შენ გითხარიო”**...

ერთი წამით არ სურს იმის გააზრება, რომ იგივე პოზიციაზე დგანან ნათელაშვილი და სააკიანცის ნაცბანდაც, რომელთაც კარგად იციან, რომ ნულოვანი პოლიტიკური რეიტინგი გააჩნიათ, მათი მაჟორიტარი კანდიდატი ვერცერთ საარჩევნო ოლქში ვერ გაიმარჯვებს და ამიტომ ვარაუდობენ, რომ პროპორციული სისტემის რიცხობრივი გაზრდა ავტომატურად გაზრდის მათ შანსებს მომავალ პარლამენტში მოსახვედრად. მათ ხომ მხოლოდ საკუთარი სიკეთე ანაღვლებთ და ხალხისა და ქვეყნის ბედი ფეხებზე ჰკიდიათ!!!

ახლა კი, უნდა არაკაც მარგველაშვილს დაგვარწმუნოს ყველა, რომ სრულიად საქართველოს პრეზიდენტია და მთელ ძალისხმევას ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლას ახმარს, მაშინ, როცა ყველა მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ძალაუფლების დაბრუნების ჟინით ატანილ ავადსახსენებელ ნაციონალთა და ასევე ძალაუფლების სიყვარულისაგან ჭკუიდან გადასულ ლეიბორისტთა წისქვილზე ასხამს წყალს.

თითქმის ყველა საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც კარგია ნაცებისათვის და ცუდია საქართველოსათვის, ეს **“პლასტელინად”** მონათლული არარაობა ბარიკადების იმ მხარეს დგება, სადაც ნაციონალები ჯერ კიდევ იმედიანად იგრიხებიან თავწაწყვეტილი, მაგრამ ჯერ კიდევ საშიში ქვეწარმავალივით!

ამიტომ პასუხობენ სრულიად სამართლიანად კოალიციის თავკაცები ამ ფლიდსა და ცრუპენტელა არსებას, რომ იგი ივანიშვილის მხარდაჭერის გარეშე მთავარსარდლის სკიპტრას თვალითაც ვერ იხილავდა და თავის **“გიორლფრენდ”** მაკა ჩიჩუასთან ერთად (რომელსაც მხოლოდ ნაცები მოიხსენიებენ **“პირველ ლედ”**-ად) დუშეთის ბოსტანში თოხის ბაყუნით გალევდა წუთისოფლის დარჩენილ დღეებს! სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კოალიციის თავკაცებიც (განსაკუთრებით – ნულოვანი პოლიტიკური რეიტინგის მქონე **“რესპუბლიკელები”**) ერთ ტაფაში იწვიან და ერთი პოლიტიკური გარანტორის – ლიბერასტული დასავლეთის მიერ შეკვეთილ მუსიკაზე აქანავებენ უკანალებს, მაგრამ ისიც ყველას გვახსოვს, მარგველაშვილს **“გაულაწუნესავით”** რომ დაათრევდა ბიძინა ივანიშვილი და ლამის მუხლზე დაჩოქილი იხვეწებოდა – ამ კაცს მიეცით ხმა და, ნახეთ, როგორი კარგი პრეზიდენტი გეყოლებათო! და რომ არა ბიძინა ივანიშვილის აშკარად **“მათხოვრული”** პათოსი, მარგველაშვილს ქვეყნის პრეზიდენტად კი არა, დუშეთის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავკაცად არავინ აირჩევდა!

მაგრამ, როგორც ჩანს, მარგველაშვილს კატეგორიულად არ აძლევს ხელს ამის გახსენება და ეს აშკარად პოლიტიკური დოყლაპია, ნაცვლად იმისა, რომ ბიძინას მიერ მუქთად ნაბოძები ძალაუფლებით ტკბებოდეს, ახლა თავად გადადის შეტევაზე, მისსავე გუნდს უდგება კრიჭაში და საარჩევნო დაპირებების ირონიულად შეხსენების მხრივ თვით **“ნაციონალებსაც”** კი **“გადაუჯოკრა”**!

საპრეზიდენტო გუნდიც პირწავარდნილი ნაციონალებისა და დაშნაკთა მხარდამჭერებისაგან შეკრა და ვერ ხვდება, რომ კოალიციას კი არა, სრულიად საქართველოს უდგას კრიჭაში!

რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკურ გუმანსა და გამჭრიახობას, არა მგონია, რომ ბიძინა საქართველოს პრეზიდენტის არჩევანში შემცდარიყო. ამიტომ ჩნდება იმის სერიოზული ეჭვი, რომ მარგველაშვილი ისევე შეტენეს ბიძინას და ქართველ ხალხს ამერიკელებმა, როგორც თავის დროზე შეგვტენეს სომეხი დაშნაკი სააკიანცი!

სააკაშვილს ბევრად ნაკლებად უნდა დავემდუროთ, ვიდრე მარგველაშვილს, რადგან დაშნაკი სააკიანცი მოვიდა საქართველოს დანგრევის გეგმით და ეს არ დაუმალავს კიდეც, რადგან საჯაროდ გაჰკიოდა: **“ნულოვანი ტოლერანტობაო”**, **“ყველაფერი უნდა გაიყიდოსო”**, და სხვა დაშნაკურ-რეაქციულ მოწოდებებს. მარგველაშვილი კი მართლაც გველივით შეგვისრიალდა თითოეულ მის მხარდამჭერ ქართველს და თავბედს გვაწყევლინებს ასეთი მიმნდობლობისა და გულუბრყვილობისათვის!

ამიტომაა მოღალატე ფლიდი და არაკაცი და ჩვენს მიერვე პრეზიდენტად სახელდებული ეს არარაობა!

მარგველაშვილის მენტალიტეტის ანალიზით ობივატელი შეიძლება მართლაც იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ პოლიტიკა ბინძური და უმადური საქმეა (ამის დასტურად თუნდაც ნათელაშვილის საქციელი გამოდგება, რომელიც 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოგების შემთხვევაში ივანიშვილის საქართველოში ჩამოყვანას გვპირდებოდა, ახლა კი უშვერი სიტყვებით ლანძღავს იგივე ივანიშვილს, რომელმაც ლეიბორისტების თავქარქაშა და დაბოღმილი **“ბელადი”** საკუთარ პოლიტიკურ მჭიდეში არ ჩასვა!). ბევრს ალბათ ხელიც აქვს ჩაქნეული – ამ ქვეყანას მაინც არაფერი ეშველებაო...

სააკიანცის, ნაცბანდის, სხვა ჯურის პოლიტიკანებისა და მათ მხარეზე მდგომი მარგველაშვილის მიზანიც ეს გახლავთ – დათესონ ხალხში ნიჰილიზმი, უნდობლობა არსებული ხელისუფლების მიმართ, რაც გზას გაუხსნის საქართველოში ახალი რეაქციული პოლიტიკური ძალის მოსვლას და ქვეყნის აღმა-დაღმა გადაჯიჯგნას! დიახ, ამ მიზანს ემსახურება ყველა მათი განცხადება, ვეტო და სხვა პოლიტიკური წინააღმდეგობების შექმნა, რაც მიმართულია დესტრუქციისაკენ, დაპირისპირებისაკენ და პოლიტიკურ ძალთა შორის შუღლის ჩამოგდებისაკენ. ამით კი ხდება ხალხის გარიყვა, გამოთიშვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან და ეს პრაქტიკულად გახლავთ სასიკვდილო განაჩენი სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება ამ ფლიდი არსების მიერ გაკეთებულ განცხადებებს საარჩევნო კოდექსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წესიერ ადამიანს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მარგველაშვილი ღამეებს ათენებს იმაზე დარდით, თუ როგორ გააუმჯობესოს საქართველოში საარჩევნო გარემო, რათა ჩვენთან **“ჭეშმარიტმა”** დასავლურმა დემოკრატიამ იზეიმოს. სინამდვილეში კი ამ ფლიდს დემოკრატიაც ფეხებზე ჰკიდია და არჩევნების სამართლიანობაც, იმიტომ, რომ, მაჟორიტარების სისტემის გაუქმების შემდეგ ახალ საარჩევნო კოდექსში შეიძლება ისეთი ცვლილებები შევიდეს, რომელიც ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიებს – **“ნაციონალური მოძრაობა”**, **“თავისუფალი დემოკრატები”**, **“რესპუბლიკური პარტია”**, **“ლეიბორისტული პარტია”** – ხელისუფლებაში მოსვლის რეალურ შანსს მისცემს. მარგველაშვილი კი ამ ცვლილებებში საკუთარ მომავალსაც ხედავს, რადგან ჩამოთვლილი ურეიტინგო სუბიექტების მოსვლა მის პოლიტიკურ დღეგრძელობას ნიშნავს. სხვაგვარად კი ფლიდი გიორგი მარგველაშვილი მის წინამორბედ სააკიანცივით პოლიტიკური გვამია და მომავალი არჩევნების შემდეგ (თუ მანამდე არა) ისევ იმ წვერგაფანჩრულ უსახელო პიჟონად დარჩება, რაც მანამდე იყო. მოკლედ, მომავალი არჩევნებისათვის ქვეყანას დიდი პოლიტიკური გაწევ-გამოწევა და დავიდარაბა ელოდება. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ყველა მკვდარი სული (ნაცების ჩათვლითაც) გააქტიურდება და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს.

ბიძინა ივანიშვილისაგან გვიკვირს ასეთი მძიმე შეცდომის დაშვება, რადგან მოსალოდნელ შედეგებზე მაშინ უნდა ეფიქრა, როცა მარგველაშვილს კლასში ჩარჩენილი ოროსანივით დაათრევდა და მოსახლეობას მის კაი-კაცობაში არწმუნებდა. დიახ, ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ინტელექტი და ჭკუა-გონება იმდენად უჭრის, რომ მილიარდების შოვნა და დაგროვება შეძლო, უნდა სცოდნოდა, რომ მარგველაშვილისნაირ პოლიტიკურ ხეპრეებს მერე და მერე მადა ეხსნებათ და გამტკბარ ძალაუფლებასთან გამოთხოვება ძალიან უჭირთ.

კომუნისტებს ერთი პუნქტი ეწერათ წესდებაში, რომელიც ითვალისწინებდა, რომ თუ კომპარტიის წევრის პასუხისმგებლობის საკითხი დადგებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო, მაშინ მასთან ერთად პასუხისმგებლობას მისი რეკომენდატორიც ინაწილებდა.

ამიტომაა საჭირო, რომ ივანიშვილმა საჯაროდ დაასახელოს ის კერძო თუ საჯარო პირი, რომელმაც მასთან რეკომენდაცია გაუწია ფლიდ და ცრუპენტელა ფსიქოლოგს გიორგი მარგველაშვილს, რათა მომავალში სხვებსაც გაუქრეთ მსგავსი სურვილი.

რაც შემეხება მე, ბოდიში მინდა მოვუხადო ქართულ საზოგადოებას, რადგან მეც მივეცი ხმა ამ არარაობას, თუმცა ეს გავაკეთე მხოლოდ იმიტომ, რომ არჩევნებში ნაციონალ დავით ბაქრაძეს არ გაემარჯვნა. საბედისწერო ფორმულას კი – **“ოღონდ ეს ნუ იქნება და ვინც გინდა იყოს”** – არაერთგზის გაგვიჩინა თავსატეხი და რეალური სიძნელეების წინ დაგვაყენა.

ამიტომ, მართლაც ასჯერ უნდა გავზომოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გავჭრათ, რათა მომავალში ყოვლად უვარგისი და ფლიდი ადამიანი არ ავირჩიოთ მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე!

დიახ, როგორც მარგველაშვილის ერთ-ერთი ამომრჩეველი, მე ბრალს ვდებ მას სიცრუესა და ფლიდობაში, რითაც გააწბილა ჩემი და ასეულობით ათასი მისი მომხრე ქართველის იმედი, რომ გვეყოლებოდა ქვეყნის გულშემატკივარი პრეზიდენტი და არა ნაციონალების მსახური გოშია, რომლის თითოეული გადაწყვეტილება თუ პარლამენტის მიერ მიღებულ სასიკეთო გადაწყვეტილებაზე დადებული ვეტო მიმართულია საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ და მიმართულია იმ ნაცების სასარგებლოდ, რომლებიც ძლივს მოიშორა თავიდან ქართველმა ერმა!

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება გახლავთ ის, რომ ამ უსახურმა არსებამ დაივიწყა საკუთარი შეპირება და ყოველი ზნეობისა და მორალის უგულვებელყოფით შეიჭრა სააკაშვილის მიერ აშენებულ რეზიდენციაში, რომელსაც თავადვე უწოდებდა გარყვნილებისა და უბედურების ბუდეს! ახლა კი სახელმწიფო ვალდებულია ჩვენი ჯიბიდან გადასახადების სახით ამოღებული მილიონები დაახარჯოს ამ ცრუპენტელას, რომელსაც განუზომლად დიდი ფართი უკავია.

ამიტომ თუ იგი საკუთარი ნებით არ დასტოვებს **“რეიხსტაგს”**, ხალხი იძულებული იქნება საპროტესტო აქციებით გამოაძევოს იქიდან ყველა კანონის დარღვევით შეჭრილი ვაი-პრეზიდენტი!

გიორგი მარგველაშვილმა მაშინაც გაამჟღავნა თავისი **“ნაციონალური”** ბუნება, როცა შეიწყალა კაკო ბობოხიძის ძმა – ლევან ბობოხიძე და ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბობოხიძეს შეწყალება არ ეხებოდა მის მიერ ციხის განაწესის რამდენჯერმე უხეშად დარღვევის გამო! მარგველაშვილმა არ შეიწყალა ნაკლები დანაშაულის მქონე სხვა უამრავი პატიმარი, რომელიც ამას იმსახურებდა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ უსახური არსების არაკეთილსინდისიერებაზე!

მარგველაშვილმა თავისი აპარატი გაავსო ფარული თუ დაუფარავი პირწავარდნილი ნაციონალებით, რომლებიც ყველანაირ ინსინუაციაზე მიდიან ქვეყანაში სიტუაციის ასარევად!

როგორც იცით, პირწავარდნილი ნაცის, საქართველოს ეროვნული ბანკის გიორგი ქადაგიშვილის (რომელიც კვირას არ გააჩედენს ისე, რომ ნაცბობოლებთაან ერთად არ იქეიფოს რესტორანში) მცდელობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუფასურდა ქართული ვალუტა, რაც შეიძლება საზოგადოების მზარდი უკმაყოფილების მიზეზასდ იქცეს. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურის ბანკის სისტემიდან გამოყვანის საკითხი, რათა მან ბანკში მიმდინარე პროცესების სრულყოფილი მონიტორინგი განახორციელოს. ნაციონალებს და მათ მხარდამჭერ მარგველაშვილს კი ეს ხელს არ აძლევს და ამიტომაც დაადო ვეტო აღნიშნულ კანონს პრეზიდენტად წოდებულმა არარაობამ, რაც თავისთავად მეტყველებს მის გამყიდველურ ბუნებაზე!

თვითნებურად მიითვისა ქვეყნის პირველი პირის წოდება, მაშინ, როცა კონსტიტუციურად მესამე პირია (ჩვენდა სამარცხვინოდ) ქვეყანაში!

კიდევ უამრავ დანაშაულებრივ ქმედებაში შეიძლება ნაცების მხარდამჭერი მარგველაშვილის მხილება!

საწყენია, როცა გვიან, მაგრამ მაინც ხვდები, რომ ვიღაც არამზადამ შენი მხარდაჭერა შენს საწინააღმდეგოდ მომართა, გწყინს და გაუპატიურებულადაც კი მიგაჩნია საკუთარი პერსონა. არა და, თუ ბიძინამ ვერ გამოიჩინა წინდახედულება და გუმანმა უმტყუნა, ჩვენ მაინც უნდა გვცოდნოდა, რომ **“თავისუფლების ინსტიტუტის”** დამფუძნებელი და კურსგამოვლილი, სოროსის ძუძუნაჭამი გაქსუებული მარგველაშვილი დიდ ვერაფერ ხეირს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას.

დიახ, ყველანი გაგვაცუცურაკა ფლიდმა და ცრუპენტელა მარგველაშვილმა, რადგან იგი ნაცებში შეგზავნილი **“ჩვენი კაცი”** გვეგონა, სინამდვილეში კი ჩვენთან მსტოვრად შემოგზავნილი **“ნაცების კაცი”** აღმოჩნდა. **“კაცის კაცი”** კი, როგორც მოგეხსენებათ, მუდამ ცრუ და ორპირია!

ბოდიშს ვიხდი რომ ვერაფერს შევცვლი, რადგან თუ ჩემს ხმას უკან გამოვითხოვ, მაშინ ავტომატურად ჩავდგები ნაციონალი დავით ბაქრაძის ამომრჩეველთა რიგებში.

როგორმე უნდა მოვითმინოთ 2016 წლამდე და ვინაიდან კონსტიტუციურად საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკას წარმოადგენს, ისეთი პარლამენტი ავირჩიოთ, რომელიც შეცვლის ქვეყნის პრეზიდენტის არჩევის წესს და, (იმპიჩმენტამდე) კონსტიტუციურად მიანიჭებს მას **“ქორწილის გენერლის”** ფუნქციას, და თუ კოალიციის წევრები ასე მიესწრაფვიან ევროპას, მაშინ პრეზიდენტის გერმანული ვარიანტი დააკანონონ!

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კიდევ ერთი შეცდომის დაშვების უფლება აღარ გაგვაჩნია!

**როლანდ ჯალაღანია,**
**“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების წევრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ნიკა გვარამიამ ძალიან ადრე ატეხა განგაში... ისე, მე უფრო ვარ “ბეტმენი”, ვიდრე “რუსთავი 2” დამოუკიდებელი არხი”

## ნაციონალთა პროპაგანდისტულ ტერარიუმს – “რუსთავი 2”-ს გოგირდი შეუბოლეს და ტერარიუმიც აფუთფუთდა



*“სასამართლოზე გაირკვევა მტყუან-მართალი, თუ “რუსთავის 2”-ის სასარგებლოდ გადაწყდება საქმე ხომ კარგი, თუ არა და უფრო კარგი”*

*“თუ ხელისუფლებამ მოახერხა და “რუსთავი 2” გააჩერა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის არჩევნების ბედიც გადაწყდება ამით.”*

*“სამეწარმეო რეესტრში ვნახე დოკუმენტაცია და 2003 წლის განჩინებით, 2013 წლამდე “რუსთავის 2”-ის აპარატურა და მოძრავი ქონება, “თი-ბი-სი” ბანკს ჰქონდა დაყადაღებული და რა, ეს ბანკი ზეწოლას ახდენად ტელევიზიაზე ან აფერხებდა მის საქმინობას?”*

ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა 5 აგვისტოს **“რუსთავი 2”**-ის წილის დასაბრუნებლად სასამართლოში სარჩელი შეიტანა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, **“რუსთავი 2”**-ის პარტნიორთა წილების დაყადაღება მოითხოვა. სწორედ ეს გახდა **“რუსთავი 2”**-ის ქონების ნაწილის დაყადაღების საფუძველი. ორშაბათს ცნობილი გახდება სასამართლოს გადაწყვეტილება, დაიწყება თუ არა სამაუწყებლო კომპანიასთან სამართლებრივი დავა. არის თუ არა ეს თავისუფალ მედიაზე ზეწოლა ამაზე კომენტარი საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილ ხელმძღვანელს (პირწავარდნილ ნაციონალს – **“ილორი”**) გია ჭანტურიას და ტელეკომპანია **“202”**-ის, რადიო **“105”**-ის დამფუძნებელს და **“ტელეიმედის”** წამყვან შალვა რამიშვილს ვთხოვეთ:

**გია ჭანტურია:** – შეიძლება ძალიან ბევრმა ეს ყველაფერი რაღაც ფორმებით **“აპრავოს”**, მაგრამ რაც დღეს ხდება, ეს არის თავისუფალ მედიაზე ზეწოლა, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს **“რუსთავის 2”**-ს საკმაოდ დაბალანსირებული პოლიტიკა ჰქონდა, მათ არ აურჩევიათ არცერთი კონკრეტული მხარე და ყველაფერს აშუქებდნენ ძალიან ობიექტურად, რაც ძალიან საშიში აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის. ყველაზე მძიმე დარტყმა ხელისუფლებისათვის მაინც ის კონცერტები აღმოჩნდა, რომელიც **“რუსთავის 2”**-მა საქართველოს სხვადსხვა ქალაქებს აჩუქა, მძიმე იმიტომ, რომ დღეს ქვეყანაში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური ძალაც კი რომელიც ქუჩაში ამდენ ხალხს გამოიყვანდა. ზუსტად ესაა იმის ნათელი დადასტურება, რომ **“რუსთავის 2”** იყო, არის და იქნება ლიდერი ტელევიზია. **“რუსთავი 2”** არაა მხოლოდ, ვიდეოკამერა, მანქანა ან, თუნდაც, სტუდია, **“რუსთავი 2”** ეს ის ადამიანები არიან, ვინც ქმნის ამ გენიალურ ტელევიზიას და მათი ასე მარტივად დაჩოქება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, პრობლემების შექმნა შეუძლიათ, სამომავლოდ ალბათ კიდევ უფრო დიდი პრობლემებს შეუქმნიან, მაგრამ მაინც მგონია, რომ საბოლოო ჯამში მაყურებლის მხარდაჭერით ტელევიზია გაიმარჯვებს, თორემ კანონიერების და სასამართლოსი ნამდვილად არ მჯერა. თუ ხელისფლებამ მოახერხა და **“რუსთავი 2”** გააჩერა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის არჩევნების ბედიც გადაწყდება ამით.

**– ბატონო გია, ხშირად ავლებენ პარალელს “იმედში” შეჭრასა და ამ ფაქტს შორის...**

– თუ **“რუსთავის 2”** ხელისუფლების დამხობის მოწოდებით გამოვა, მაშინ მომხრე ვიქნები იგივე გააკეთონ რაც მოხდა **“იმედში”** 2007 წელს, ოღონდ კარგი იქნება თუ ამას უფრო დახვეწილი ფორმებით გაკეთებენ. პირდაპირ ვიტყვი, დღეს, “რუსთავის 2”-ის გაჩუმება ამ ხელისუფლებისათვის არის ერთადერთი გზა იმისთვის, რომ 2016 წლის არჩევნებში გაიმარჯვონ (რაც დაკანონებული დიქტატურა იქნება), სხვა გზა მათ არ აქვთ, რადგან სიმართლე მათ მხარეს არაა.

**შალვა რამიშვილი:** – ნიკა გვარამია დღეს კი გახდა შოუმენი და კონცერტების წამყვანი, მაგრამ, როგორც მახსოვს, ერთ დროს პროკურორიც იყო და წესით, კანონი უნდა იცოდეს, ანუ უნდა იცოდეს, რომ ეს დაყადაღება არის უზრუნველყოფის ღონისძიება და ამით **“რუსთავი 2”**-ის საქმიანობას საფრთხე არ ემუქრება. სასამართლო განიხილავს საქმეს და მომჩივან ქიბარ ხალვაშს ან დაუკმაყოფილებს ამ სარჩელს ან – არა. სხვათა შორის, სამეწარმეო რეესტრში ვნახე დოკუმენტაცია და 2003 წლის განჩინებით, 2013 წლამდე **“რუსთავის 2”**-ის აპარატურა და მოძრავი ქონება, “თი-ბი-სი” ბანკს ჰქონდა დაყადაღებული და რა, ეს ბანკი ზეწოლას ახდენად ტელევიზიაზე ან აფერხებდა მის საქმიანობას? სასამართლოზე გაირკვევა მტყუან-მართალი, თუ **“რუსთავის 2”**-ის სასარგებლოდ გადაწყდება საქმე ხომ კარგი, თუ არა და უფრო კარგი...

**– ერთ დღეში, სოციალურ ქსელში ძალიან ბევრი ჯგუფი შეიქმნა, რომელიც “რუსთავის 2”-ს უჭერს მხარს...**

– ეს ჯგუფები იმიტომ კი არ იქმნება, რომ ამ არხის გადაცემები მოსწონთ, ამას ქმნის **“ნაციონალური მოძრაობის”** მხდარმჭერი, პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხი. ჩემი აზრით, ეს არხი (ამის მტკიცებულება არა მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ასეა) მიხეილ სააკაშვილის საკუთრებაა, იგი **“ნაციონალური მოძრაობის”** პროპაგანდისტული მანქანაა, შესაბამისად, ამ პარტიის წევრები და მათი მომხრეებიც მხარს უჭერენ ამ ტელევიზიის ვითომ დამოუკიდებლობას. **“რუსთავის 2”**-ის დამოუკიდებლობა ისეთივე ზღაპარია, როგორც ჩემი **“ბეტმენობა”**, ისე, მე უფრო ვარ **“ბეტმენი”**, ვიდრე **“რუსთავის 2”** დამოუკიდებელი არხი. შესაბამისად, **“ნაციონალური მოძრაობის”** მომხრეები ქმნიან ჯგუფებს, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, შექმნან და ჩვენ, საზოგადოება დავთვლით მათ.

**– მომხდარ ფაქტს, ბევრი ადარებს 2001 წელს, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება შევიდა “რუსთავი 2”-ში, ადეკვატურია ეს შედარება?**

– კი შევარდნაძის ხელისუფლება მართლაც შევიდა იქ, თუმცა მერე სააკაშვილი შევიდა, როდესაც ქიბარ ხალვაშს აყიდვინა ტელეკომპანია, მერე ხალვაშისაგან ბეჟუაშვილმა იყიდა (იყიდა, თუ ხალვაშს ძალით დაათმობინეს ამას სასამართლო გაარკვევს), მერე ბეჟუაშვილმა გადააფორმა ვირჯინიის კუნძულებზე არსებულ ოფშორულ ზონაში, მერე იქიდან მიყიდეს ყარამანაშვილს, ამის მერე 2012 წლის ოქტომბერში **“რუსთავი 2”** იყიდა კეზერაშვილმა, რომელმაც ძალიან მალე, მგონი, ყიდვისთანავე გაყიდა, ეს თვალთმაქცური გარიგება იმისთვის გაკეთდა, რომ ვითომდა პატიოსანი მყიდველის იმიჯი მოერგოთ, ჰოდა, ამდენი გადახტომ-გადმოხტომების დროს შეიძლება ვინმე ერთ უხერხულ საგანზე წამოეცვას. რაც შეეხება შედარებას რაზეც თქვენ ბრძანეთ, ჩემი აზრით დღევანდელი ხელისუფლება **“რუსთავი 2”**-ში არ შესულა, ის რაც ხდება, ეს ყოფილი მფლობელის და ტელეკომპანიის პირადი დავაა. ნიკა გვარამიამ ძალიან ადრე ატეხა განგაში...

**ლადო გოგოლაძე**

## “რუსთავი 2”-ის დამფუძნებლები და ყოფილი მფლობელები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე განცხადებას ავრცელებენ

**“რუსთავი 2”**-ის დამფუძნებლები და ყოფილი მფლობელები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე ტელეკომპანიის ირგვლივ ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს სპეციალური განცხადებით ეხმაურებიან, რომელსაც **“ლიბერალი”** საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს.

მათი განცხადებით, “რუსთავი 2” არის ნაციონალური მოძრაობის მიერ მკაცრად კონტროლირებადი პარტიული ტელევიზია, ასრულებს მის პოლიტიკურ დაკვეთას და საერთო არაფერი აქვს დამოუკიდებელ მედიასთან. **“ინტერპრესნიუსი”** ყოფილი მფლობელების განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**“ბოლო დროს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი2”-ის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო უამრავი ადამიანი და მედიასაშუალება გვიკავშირდება, გვთხოვს კომენტარს თუ პოზიციის დაფიქსირებას. აქედან გამომდინარე, თავს ვალდებულად ვთვლით განვაცხადოთ შემდეგი. სამართლებრივ პროცესს ალტერნატივა არ გააჩნია. დემოკრატიულ საზოგადოებაში ის ჭეშმარიტების დადგენის და სამართლიანობის აღდგენის ერთადერთ გზას წარმოადგენს.**

**იმედი გვაქვს სასამართლო პროცესი იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე და მიუკერძოებელი. ის შეძლებს გამოავლინოს და სამართლებრივი შეფასება მისცეს “რუსთავი 2”-ის სახით მედიის თავისუფლებაზე ძალადობის და მანიპულირების დანაშაულებრივ სისტემას, რომელსაც 2004 წლიდან სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებდა. ამ პროცესმა გადამყვეტი დარტყმა მიაყენა დემოკრატიას და სიტყვის თავისუფლებას საქართველოში. შედეგად, თავისუფალი ტელევიზიის ნაცვლად საზოგადოებამ ერთი პარტიის საკუთრებაში არსებული პროპაგანდისტული მანქანა მიიღო. ამ პოლიტიკური ძალადობის და პარტიული**

**ტერორის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, როგორც “რუსთავი 2”-ის დამფუძნებლები, ჩვენ აღმოვჩნდით.**

**ამორალობად მიგვაჩნია მცდელობა, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მედიასაშუალების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება მიჩქმალულ იქნას და გასაღდეს როგორც თავისუფალ მედიაზე ზეწოლა. ორმაგად ცინიკურია ამგვარი განცხადებების მოსმენა იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებისგან, რომლებმაც თავისი მმართველობის პერიოდში ძალ-ღონე არ დაიშურეს, რათა მოესპოთ სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში.**

**მივმართავთ ყველას – საზოგადოებას, ქართულ და უცხოურ პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ კორპუსს – გავუსწოროთ თვალი რეალობას – დღეს “რუსთავი 2” არის ნაციონალური მოძრაობის მიერ მკაცრად კონტროლირებადი პარტიული ტელევიზია, ასრულებს მის პოლიტიკურ დაკვეთას და საერთო არაფერი აქვს დამოუკიდებელ მედიასთან”,– აღნიშნულია აქიმიძისა და დვალის მიერ გავრცელებულ განცხადებაში”,** – ნათქვამია განცხადებაში.

ახლა, ტელევიზიის მფლობელების დავებისა და “გარჩევების” ქრონიკის მოშველიებით მოგითხრობთ იმის თაობაზე, თუ როგორ გადადიოდა “რუსთავი 2” ხელიდან-ხელში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთა წერილში, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის მიერ “რუსთავი 2”-ის წილის დაბრუნების შესახებ სასამართლოში სარჩელი უკვე შეტანილია, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილებით, “რუსთავი 2”-ის ქონების სრული დაყადაღება მოჰყვა.

ამ დროისათვის, ოფიციალური მონაცემებით, ტელევიზიის მფლობელების სია ასეთია:

ლევან ყარამანიშვილი – 23 პროცენტი,

გიორგი ყარამანიშვილი – 18 პროცენტი,

ტელეკომპანია საქართველო – 51 პროცენტი

და ნინო ნიჟარაძე – 9 პროცენტი.

ვინ იყვნენ ტელევიზიის პირველი მფლობელები, როდის დაიწყო პირველი დავა ტელევიზიის საკუთრებისთვის და როგორ და რა პოლიტიკური ინტერესებით გადადიოდა ქვეყანაში გავლენიანი სატელევიზიო არხი ხელიდან-ხელში, – ამ საკითხთან დაკავშირებით **“ფეისბუქის”** ერთ-ერთ საჯარო დისკუსიაში ერთ-ერთი პოლიტიკოსი ვრცელ პოსტს აქვეყნებს.

**“ადრე, 90-იანების შუახანებში, ამ ტელევიზიის გამო ჯერ ეროსის, აქიმიძეს და დვალს ჰქონდა დავა ფიქრია ჩიხრაძესა და ნიკო ნიკოლოზიშვილთან. ამის გამო ერთი წლით შეჩერებულიც იყო “რუსთავი 2”-ის მაუწყებლობა. თუმცა, მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ რეალურად, საკუთრებითვის დავა იყო მხოლოდ საბაბი და შევარდნაძის ხელისუფლება ებრძოდა დამოუკიდებლ მედიას. მონაწილეობაც მაქვს მიღებული ტელეკომპანიის დაცვის მიზნით მოწყობილ აქციებში. ვაკის პარკში როკ-კონცერტიც კი გაიმართა “რუსთავი 2”-ის მხარდასაჭერად, რომელიც რატომღაც დილანის Knockin` on Heaven`s Door-ის გუნდური შესრულებით დასრულდა. მახსოვს ვხუმრობდი კიდეც, რა იყო, გამოვიტირეთ უკვე თუ რაშია საქმე თქო.**

**ერთი წელი გაგრძელდა ეს დავა და ბოლოს ეროსიმ და კომპანიამ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას სერიოზულმა მხარდაჭერამ.**

**ამის შემდეგ, ეროსიმ ნელ-ნელა დაიწყო პარტნიორების ჩამოცილება და ჯერ ჯარჯი აქიმიძე მოტეხა, მერე დვალიც (მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ) და ფაქტობრივად ერთპიროვნულ მფლობელად იქცა.**

**ავადსახსენებელი “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ჩაითვალა, რომ ყველაზე პოპულარული ტელევიზიის ფლობა ეროსი კოწმარიშვილის პოლიტიკურ ამბიციებს ნამეტნავად ზრდიდა და დაიწყო მასთან ვაჭრობა ტელევიზიის გაყიდვაზე. საბოლოო ჯამში ეროსიმ ქიბარ ხალვაშს (ანუ ოქრუაშვილს, ანუ ხელისუფლებას) კაი გემრიელ ფასად დაუთმო ტელევიზია და პლუს კიდევ ნავთობის სარკინიგზო ტრანზიტის წილშიც ჩაჯდა.**

**ოქრუაშვილის გაოპოზიციონერების შემდეგ, ეს ტელევიზია, მას მართლაც სატაბელო იარაღივით დაატოვებინეს და ქიბარ ხალვაშის წილი აღარ მახსოვს ახლა ვის გადაეცა, მაგრამ ასევე გადაეცა ოფიციალურად. ხალვაშმა ტელევიზიის გაყიდვის საფასურიც მიიღო და ერთხანს აგრძელებდა საქართველოში ბიზნეს საქმიანობას, სანამ ოქრუაშვილი მთლად არ გარადიკალდა.**

**ამის მერე ტელეკომპანიის წილები კიდევ გადაფორმ-გადმოფორმდა და თუ არ ვცდები არაერთხელ.**

**მოკლედ იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი არის რიჟა ბაზარი. აქიმიძეს და დვალს არაფერი ხელჩასაჭიდი არა აქვთ. ისევე როგორც ხალვაშს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც ეს გადაფორმება-გადმოფორმებები ხდებოდა გარიგების მეჩვეობით და ვინც წილს თმობდა, რაღაცას სანაცვლოდაც ღებულობდა. ცხადია, აქ ხელისუფლების ინტერესიც იყო (“ც” კი არა პირველ რიგში სწორედ ეს იყო), ოღონდ ზეწოლის დამტკიცება დღეს, სამართლებრივი დოკუმენტებით და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე შეუძლებელი იქნება.**

**რაც მთავარია აქიმიძეს და დვალს ადრეც ჰქონდათ მცდელობა, მაგრამ სწორედ მტკიცებულებათა სიმწირის გამო გაჩერდნენ...”**

მოსამართლემ კი უკვე წარმოებაში მიიღო ქიბარ ხალვაშის სარჩელი...

როგორც იტყვიან – ვნახოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა!

ახლახან ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჰკითხეს, ქვეყანაში რატომ არ იქმნება სამოქალაქო მონიტორინგის საბჭოებიო. ამ შეკითხვამ მაფიქრებინა წინამდებარე სტატიის გამოქვეყნება, რაც უთუოდ დააინტერესებს მკითხველს.

სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებდა:

**– „მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა“;**

**– „მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა“;**

**– „მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მოპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა“;**

**– „მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: „საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა“.**

უკეთესად რა უნდა თქვას კაცმა!

ქართველის მენტალიტეტში მეფე და, საერთოდ, ხელისუფალი ბრძენ ადამიანად არის აღქმული, რისი დასტურიცაა სიტყვა ხელმწიფე, ე.ი. ქვეყნის მართვისათვის მომზადებული და მომწიფებული პირი, რომელსაც ხალხმა ქვეყნის მართვის უფლება გადასცა, ხელისუფალი უწოდა და მიანიჭა ძალაუფლებაც (ძალა+უფლება).

ცნობილია, რომ საქართველოში მეფეთა ურთიერთობა ხალხთან დიდად განსხვავდებოდა დასავლეთში თუ აღმოსავლეთში არსებული ურთიერთობისაგან. მეფე ხალხს საომრად კი არ მიერეკებოდა და თვითონ უკან დაცვით კი არ მიჰყვებოდა, არამედ წინ მიუძღვოდა და ბრძოლის მთელ სიმძიმეს პირველი უპირისპირდებოდა.

მეფისა და ხალხის ასეთი ურთიერთობა ანუ ბატონ-პატრონობა ქმნიდა ხელმწიფის რეალურ ძალაუფლებას და ხალხის თავისუფლების (თავის+უფლების) განცდასაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლება რეალურია მაშინ, თუ ხელისუფალს მხარს უჭერს ხალხი. ხოლო თუ ეს მხარდაჭერა არაა, მაშინ ძალაუფლება ფიქტიურია და ხელისულება – ფიტული!

ხელისუფალს რომ რეალური ძალაუფლება ჰქონდეს, დიდი საბას სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა გააჩნდეს სამართალი უქრთამო, კარი ღია, უნარი ყურის მიპყრობისა, სიტყვის გაგონების, რჩევის დაჯერების და საჩივრის სმენისა. ე.ი. ხელისუფალი ხალხს ყურს უნდა უგდებდეს და უჯერებდეს!

საუბედუროდ, საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანაც კი რეალურად დამოუკიდებელი არასდროს ყოფილა. ასეთი ვითარებაში განსაკუთრებით დასაფიქრებელია ის, რომ ხელისუფალნი სულ უფრო და უფრო შორდებიან ხალხს, რაც ფეხქვეშ გვაცლის ქართულ სახელმწიფოს საფუძველს – ეროვნულობას, კარიკატურულად აფერმკრთალებს ხელისუფლებას და მისი საქმიანობის შედეგიანობას.

სამწუხაროდ, ასეა დღესაც გლობალიზაციისა და ძალთა დაუნდობელი გადანაწილების ვითარებაში, რაც საფრთხეს უქმნის თვით საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც.

არადა, საშველს გარედან არ უნდა ველოდეთ. გადარჩენის შანსი მხოლოდ ჩვენ ხელთაა, თუ ქვეყნის ხელისუფლება შეძლებს გათავისუფლებას სხვათა გავლენებისაგან და მტკიცედ დაადგება ეროვნული ინტერესების დაცვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გზას.

ეს იოლი საქმე არაა და უდიდეს ძალისხმევასთან ერთად დიპლომატიის უმაღლესი დონის დაუფლებაც დაგვჭირდება.

თავდაპირველად ძირითადია წლების განმავლობაში მავანთა და მავანთა, შინაურათა და გარეულთა მიერ გაუპატიურებული საზოგადოებრივი აზრი გადავარჩინოთ, შემოვაბრუნოთ ეროვნული ინტერესების დაცვისაკენ და ამ ნიადაგზე გავააქტიუროთ სამოქალაქო საზოგადოება.

ამ ამოცანების განხორციელების აუცილებლობა იმერეთსა და ქუთაისში ჩვენ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ვიგრძენით და 1999 წელს დავაფუძნეთ საქართველოში პირველი კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც იყო სამოქალაქო მონიტორინგის ფუნქციების მქონე პირველი საზოგადოებრივი წარმონაქმნი, სამოქალაქო ზედამხედველობას რომ აწესებდა ხელისუფლების საქმიანობაზე.

საბჭოს დამფუძნებელი იყვნენ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ქუთაისის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ კოსტავა, ცნობილი ჟურნალისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსანდრე შენგელია, საქართველოში პირველი დამოუკიდებელი ტელეკომპანია **„რიონის“** დამაარსებელი, ჟურნალსტი ბადრი კაპეტივაძე, ადამიანის უფლებების და კანონიერების დაცვის იმერეთის რეგიონული ორგანიაციის თავჯდომარე ქეთევან კანდელაკი, კავშირ **„იმერეთის განვითარების სააგენტოს“** აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი ნოდარ ვალიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი, ამ სტრიქონების ავტორი ბენია თხილავა, რომელიც აირჩიეს საბჭოს თავჯდომარედ.

სანამ ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მონიტორინგსა და მართვაში საზოგადოების მონაწილეობის ამ ფორმას მივაგნებდით, ვფიქრობდით, მიზანშეწონილი იყო სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა.

მიუხედავად ამ წინადადების არაერთჯერადი წარდგენისა, შედეგს ვერ მივაღწიეთ, რადგან ოფიციოზი შიშით უყურებდა ასეთ ნაბიჯს. თუმცა ბოლოს საზოგადებრივმა აზრმა იმძლავრა და საზოგადოებრივი საბჭოც შეიქმნა.

კონტროლის საზოგადოებრივმა საბჭომ მიზნად დაისახა: სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის განხორციელება და საზოგადოებრივი ზეგავლენის გაძლიერება, მართვაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფა, რიგ სამსახურებში სამოქალაქო მართვის ელემენტების შემოტანა, საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება, დემოკრატიის გაღრმავება და განვითარება, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვა, ხალხის წინაშე ხელისუფლების ანგარიშვალდებულების აღსრულება.

ასე, რომ საქართველოში, კერძოდ იმერეთში აღმოცენებული პირველი ყლორტი ღია სამოქალაქო საზოგადოებისა – კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო შემდეგში იქცა სამოქალაქო მართვის მეტად მნიშვნელოვან იმედის მომცემ და ეფექტური ფორმად.

ჩვენი მუშაობის ძნელ გზაზე ძირითად სიძნელედ მოგვევლინა სახელმწიფო ბიუროკრატია. ადგილობრივი მმართველობითი სტრუქტურების საქალაქო და რაიონული აპარატები, განსაკუთრებით პირველი ხელმძღვანელები, ვერ ეგუებოდნენ მათ საქმიანობაზე სამოქალაქო კონტროლს, მაგრამ საბჭოს პრინციპული, თანმიმდევრული, კომპეტენტური მუშაობით პრობლემები დავძლიეთ და დღეს კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს იცნობენ და ანგარიშს უწევენ.

სხვათაშორის, ჩვენმა საბჭომ პირველად გამოიყენა ორი სახის სიგელი **„საზოგადოებრივი პატივგებისა“** და **„საზოგადოებრივი უნდობლობის“**, რამაც მუშაობაში არაერთი საინტერესო შედეგი მოგვცა.

კონტროლის საზოგადოებრივმა საბჭომ 2012 წლის ოქტომბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში განაახლა საბჭოს რეგისტრაცია, დაფიქსირდა სახელწოდებით **„საზოგადოებრივი გაერთიანება – სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადებრივი საბჭო“** და მიაკუთვნა საიდენტიფიკაციო კოდი 412686963

ამჯერად, საბჭოს დამფუძნებლები არიან მეცნიერების დოქტორები, პროფესორები: ომარ გვეტაძე, თეიმურაზ ღვინიანიძე, ომარ ზივზივაძე, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე თემურ ძიძიგური და ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც არჩეულია საბჭოს თავჯდომარედ.

მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება ვაცნობო, რომ კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობა ასახულია ჩემ ორ სქელტანიან წიგნში: 1. **„ხმად მღაღადებლისად...“**, 2005 წ. 296 გვერდი; 2. **„საზოგადოება ძალი და ღონეა ქვეყნისა“**, 2012წ. 355 გვერდი.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს საქმიანობის საზოგადოებრივი ცნობადობის უზრუნველყოფა ითხოვდა ეფექტური საინფორმაციო საშუალების გამოყენებას, რისი ფუფუნებაც ჩვენ არ გვქონდა.

1999 წლის აგვიტოს თვეში წინადებით მივმართე ტელეკომპანია **„რიონს“**, შეგვექმნა საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი **„ღია სამოქალაქო საზოგადოება“**. საბედნიეროდ, ტელეკომპანიის პრეზიდენტმა ბადრი კაპეტივაძემ მაშინვე განსჭვრიტა ჩვენი წინადადების მნიშვნელობა და დაგვიჭირა მხარი. ასე შეიქმნა საქართველოში პირველი საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი **„ღია სამოქალაქო საზოგადოება“**.

მოხდა წარმოუდგენელი რამ – კვირაში უფასოდ დაგვეთმო ერთი საათი საეთერო დრო. კლუბის პრეზიდენტად ამირჩიეს მე. ამავე დროს ვასრულებდი ტელეწამყვანის ფუნქციასაც.

დღემდე განხორციელებულია 800-მდე საავტორო-სატელევიზიო გადაცემა, სადაც მონაწილეობდა 1500-ზე მეტი რესპოდენტი. ტელეგადაცემების ვიდეოჩანაწერები დაცულია კლუბის არქივში.

საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბის უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა მოცემულია ჩემს ორ წიგნში: 1. **„იმედის ტალღა“**, 2005წ. 96 გვერდი. 2. **„პირველი საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი საქართველოში“**, 2013 წელი, 222 გვერდი, 180 დოკუმენტური ფერადი სურათით.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობაში განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა საზოგადოებრივი მისაღების შექმნას, სადაც მიღებაზე მოვიდა 3000-ზე მეტი მოქალაქე.

> სამოქალაქო მონიტორინგისა და კონტროლის საბჭოს მუშაობის ეფექტურობისათვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საზოგადოების ღაღადი კვლავ არ დარჩეს **„ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!“**.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებს ჩვენ განვიხილავდით საზოგადოებრივი დარბაზის სხდომებზე, რომელსაც მაშინ ვატარებდით სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში, რაც ჩვენთვის დიდი დახმარება იყო.

ვფიქრობ, აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რომ პირველად საქართველოში 1999 წელს ქუთაისში შეიქმნა და დღესაც ეფექტურად გამოიყენება ხელისუფლების საქმიანობაზე სამოქალაქო მონიტორინგის სისტემა, ქვეყანაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფის და დემოკრატიული პროცესების სრულყოფის ისეთი აქტუალური ფორმებით, როგორიცაა:

**– კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო;**

**– საზოგადოებრივი-სატელევიზიო კლუბი;**

**– საზოგადოებრივი მისაღები;**

**– საზოგადოებრივი დარბაზი.**

ღია სამოქალაქო საზოგადოების ეს პირველი ყლორტები მომავალში მეტ შინაარსსა და მნიშვნელობას შეიძენენ, რაც უთუოდ გახდება მეცნიერების, პოლიტოლოგების, პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების, მედიის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების საგანი.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს სხდომებზე მოსმენილია მუნიციპალიტეტების, თვითმმართველი ქალაქების სამსახურების პირველ ხელმძღვანელთა საქმიანობის ანალიზი. საზოგადოებრივი-სატელევიოზიო კლუბის სატელევიზიო გადაცემებში საზოგადოებას ჩააბარეს ანგარიში მერებმა, გამგებლებმა, გუბერნატორის აპარატის პასუხიმგებელმა წარმომადგენლებმა.

ბოლო ერთ წელიწადში საბჭოს სხდომამ მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის და განცხადებებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ მოიმინა ქუთაისის მერიის აპარატის უფროსის ზვიად ჯავახიას ანგარიში, სატელევიზიო ეთერით საზოგადოების ანგარიში ჩააბარეს ვიცე-გუბერნატორმა სალომე იობიძემ, პროექტების სამსახურის ხელმძღვანელმა სოსო ხახალეიშვილმა, სამსახურის უფროსის მოადგილემ ზურაბ გაბიძაშვილმა და სხვებმა, ქუთაისის ვიცე-მერებმა, კულტურისა და სოციალური დაცვის სამსახურების ხელმძღვანელებმა.

ა.წ. ივლისის თვეში კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოს შეხვდა იმერეთის გუბერნატორი ბატონი გივი ჭიჭინაძე. შეხვედრა უაღრესად საქმიან ვითარებაში წარიმართა და დაისახა თანამშრომლობის გზები.

მიმდინარე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ აქტივობას, რაც ხელისუფლების საქმიანობის ეფექტურობის საფუძვლად უნდა იქცეს. ამიტომ კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციონირებასა და აქტიურ საქმიანობაზე თვით ხელისუფლების მთელი ვერტიკალი უნდა ზრუნავდეს.

1999-2005 წლებში კონტროლის საზოგადოებრივ საბჭოს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის შენობაში სამუშაოდ გამოგვიყვეს ერთი პატარა ოთახი, მაგრამ შემდეგ ოთახის რემონტის მომიზეზებით იქედან გამოგვიტყუეს და შემდეგ იქ არ დაგვაბრუნეს (!?).

საღი აზრი გვკარნახობს იმას, რომ თუ საბჭოს წევრები უხელფასოდ ასრულებენ დიდ საზოგადოებრივ საქმეს, ხელისუფლებამ მათ მუშაობის ელემენტარული პირობები მაინც უნდა შეუქმნას შესაბამისი სათავსოსა და საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს ფუნქციონირების არეა მთელი საქართველო, მაგრამ ჩვენ დღეს მხოლოდ იმერეთში ვსაქმიანობთ დაფინანსების უქონლობის გამო.

ქართველმა ბიზნესმენებმა სამოქალაქო აქტივობის წასახალისებლად გრანტები უნდა დააწესონ, რაც დიდად წაადგება ჭეშმარიტი ღია სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრების საქმეს.

თუ ხელისუფლებაც სამოქალაქო საზოგადოების ამ რგოლის საქმიანობისათვის ყოველ მუნიციპალიტეტში მცირე სათავსოს მაინც გამოძებნის, საბჭოს მუშაობა საკმაოდ დიდ მასშტაბებს მიიღებს. გამოცდილება კი ჩვენ უკვე საკმაოდ გვაქვს. სამოქალაქო მონიტორინგისა და კონტროლის საბჭოს მუშაობის ეფექტურობისათვის ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა საზოგადოების ღაღადი კვლავ არ დარჩეს **„ხმად მღაღადებლისაად უდაბნოსა შინა!“**.

არადა, ჩვენ მაინც ვიტყვით სათქმელს!

დაე, შთამომავლობამ განსაჯოს ყოველივე!

**ბენია თხილავა,**

**კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

# კიდევ ერთხელ ცრუპენტელა კილაძეანთ ელისოზე

*ჟურნალისტური გამოძიების ორი დოკუმენტი*

## 1. სირცხვილო, სად არის სიწითლე შენი?!

**2007 წლის** 4 დეკემბერს, როცა გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“**, აი, ასე, მართლაც რომ საქვეყნოდ, ყველას დასანახად და ყველას გასაგონად ჩამოკრა რისხვის ზარები, **თქვენ, ჟორნალისტო ელისო კილაძე, ბონდო შალიკიანიდან კრაზანების საგუბერნიო ბუდეში ბრძანდებოდით გადაბარგებული და თანაპოლკელ „ცოცხოსან ნაცებთან“ ერთად იმ ხალხს ებრძოდით, ვინც სისხლიან 7 ნოემბერს გადაურჩა!** აი, ჩვენი პასუხი თქვენს ცრუპენტელურ ბაქიბუქსა და იმ პროვოკაციულ შეკითხვასთან დაკავშირებით, თუ როდის და ბარიკადის რომელ მხარეს რა ადგილას იდგა გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“**?

საქართველოში, მათ შორის ქუთაისშიც ყველამ ყველაფერი იცის.

**არ გაბედო მორიგი ცრუპენტელობა და არ თქვა, იმერეთის გუბერნიაში „ნაციონალთა“ მაღალჩინოსანი არ ვყოფილვარო!**

სირცხვილო, მართლაცდა სად არის სიწითლე შენი, თორემ ან ამის შეხსენება რატომ უნდა დაგჭირდეს, ან თუნდაც იმისა, თუ რატომ გაგაგდეს ნაციონალი გუბერნატორის ამალიდან და მერე რა მიზნითა და რისი **„ხათრით“** შეეკედლე სულგანათლებულ მილიარდერ ბადრი პატარკაციშვილს?!

**(ილუსტრაციად აუცილებელია 2007 წლის 4 დეკემბრის გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული ლექსი: „კენჭს ნუ იყრი, რადგან უკვე გადადექი!“).**

### მოწოდება – კენჭს ნუ იყრი, რადგან უკვე გა-და-დე-ქი!

**ზოგ-ზოგი რომ თვალებს რისხვით გვიბრიალებს,**
**არ გვაშინებს, რადგან მეხთა ხმობას ვიწყებთ,**
**ვინ და როგორ დაგვავიწყებს გირგვლიანებს,**
**ან კრავივით გამეტებულ რობაქიძეს?**
**სული გვიხმობს, სული გურამ შარაძისა,**
**ილიასებრ მოწამებრივ დახვრეტილის,**
**ყველა ავი, მოძალადე შარაგზისა**
**მალე ვნახოთ „ჩარეცხილიც“, ჩახვეტილიც.**
**მოსაკვეთის მოშორება მოკვეთითა**
**ვერდიქტია განა ვინმეს ანაჩემი,**
**ვინც სხვას სიკვდილს განუმზადებს, მოკვდეს თვითონ,**
**ასეთია ერის ხმა და განაჩენი**
**ველარ შეძლებ, გზები ისევ ჩაგვიკეტო,**
**არაფერი აღარ შეგრჩა, გარდა ბრექის,**
**სისხლიანი ხელები გაქვს პრეზიდენტო,**
**გადადექი! გადადექი! გადადექი!**

**(ლექსის სათაური და პირველი 10 სტრიქონი ჩასმულია გაზეთის გრაგნილში და ისეა ჩართული ზემოთმოყვანილი პირველი სტატიის შიგთავსად).**

## 2. ბოდიში! ვინ თქვა „ბოდიში“?

**ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ძალიან დიდხანს ვიკავებდი თავს, რომ ამ ქალზე, რომლის გამრუდებულ გზას ზედმიწევნით ვიცნობ, არაფერი მეთქვა. მაგრამ, ეტყობა ვცდებოდი. მის გამოსწორებას არაფერი ეშველა. ლენცოფამ ღრმად გაიდგა ფესვი და დღევანდელ საგანგაშო პირობებში ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ეს ძალზე საშიშია. მას ჭკუა ვერც გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომელთა რჩევა-დარიგებამ ასწავლა, ვერც სხვა ჟურნალისტების შეგონებებმა და, მისეულ უკუღმართობათა მხილების მიუხედავად, დღემდე დაუსჯელად განაგრძობს ცრუ ინფორმაციათა და ნაყალბევ კომპრომატთა შეთხზვასა და გავრცელებას, რაც საზოგადოებაში პანიკას იწვევს და ქაოსს ამკვიდრებს. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქალბატონი ია ანთაძე საზოგადოებას აფრთხილებს, რათა ელისო კილაძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებზე ჯანსაღი ეჭვი გაუჩნდეს.**

### საჩუქარი ჟორნალისტის არქივს!

**„როგორც** აღმოჩნდა, ჩემი არქივი ბევრ საინტერესო დოკუმენტს ინახავს, მათ შორისაა 1998 წლის 14 მაისს ალექსანდრე შენგელიას მიერ ხელმოწერილი ბრძანება №26, რომლითაც ის განმარტავს, რომ აღდგენილი ვარ**“, –** წერს **ელისო კილაძე** თავის საავტორო გაზეთის – **„ქრონიკა+“**-ის 21 ივლისის ნომერში და **მაბრალებს, თითქოს ამ ბრძანების გამოცემისას მე ბოდიში მოვუხადე,** შემდეგ კი განაგრძობს: **„ამ ბრძანების გამოცემიდან კიდევ ოთხი წელი ვიმუშავეთ ერთად და ბატონ შენგელიას ჩემი მისამართით არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა“.**

რამდენად დასაჯერებელია ელისო კილაძის ფიცი-მტკიცი და ყოველთვის აუცილებელია თუ არა მისი ინფორმაციის სანდოობაში დაეჭვება, ამის დასადგენად შორს წასვლა არ მოგვიწევს. მე 2000 წლის დამდეგს, **„ქუთაისის“** საახალწლო ნომრით დავემშვიდობე თანამშრომლებსაც და მკითხველებსაც, რომლებსაც ზუსტად 12 წელიწადი ვემსახურე. ასე რომ, ამ არც თუ უმნიშვნელო დეტალითაც თვალნათლივია, რომ ჩემი **„ოპონენტი“** ანგარიშთან და ლოგიკასთან მწყრალად არის, რამეთუ 1998 წლის მაისსა და 2000 წლის ახალ წელს ერთმანეთისაგან მხოლოდ წელიწადნახევარი აშორებს.

რადგან 4 და წელიწადნახევარს შორის სხვაობა ასე მარტივად გაირკვა, ახლა ისიც განვჩხრიკოთ, როგორ მოხდა და რამ შეუწყო ხელი ელისო კილაძეს, რომ, როგორც აცხადებს, ზემოხსენებული ბრძანების შემდეგ რედაქტორს **ვითომდა „მისი მისამართით არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა“?**

**„ვითომდას“** შემთხვევით არ ვუსვამთ ხაზს, რამეთუ მჩხიბავს აქაც **„ავიწყდება“** ზოგიერთი არსებითი დეტალი, რომლებსაც მას შემდეგ შევახსენებთ, როცა 1998 წლის 5 იანვარს გამართულ გაზეთ **„ქუთაისის“** თანამშრომელთა საერთო კრების ოქმიდან რამდენსამე ამონარიდს გამოვაქვეყნებთ,

ამ ოქმში, რომელიც შრომის დისციპლინისა და ჟურნალისტური ეთიკის დაცვასთან დაკავშირებული ვითარების განხილვის შედეგებსაც ასახავს, ნათქვამია:

**„რედაქციის საერთო მუშაობას მხარს ვერ უბამს ელისო კილაძე, რადგან იგი სხვა საქმეებით, კერძოდ პირადი ბიზნესითა და სხვა გაზეთებში თანამშრომლობით არის დაკავებული.** ამაზე მასთან არაერთხელ ჰქონდათ საუბარი როგორც რედაქტორს, ისე რედაქციის თანამშრომლებს. სამწუხაროდ, ვერც მეგობრული რჩევიდან, ვერც მრავალრიცხოვანი სიტყვიერი გაფრთხილებიდან ამ ახალგაზრდამ სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა. კოლექტივს საახალწლო ნომერზე მუშაობის დროსაც განუდგა და ერთი სტრიქონიც კი არ მოუმზადებია, თუმცა მისივე წინადადებით გეგმაში ორი მასალა იყო შეტანილი. მეტიც. 30 დეკემბერს საერთოდ არ გამოცხადდა სამუშაოზე, რის გამოც ბრძანებით დაისაჯა და გაფრთხილებულია, რომ ანალოგიური ქმედებისათვის რედაქციას დატოვებს. ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი, რომ ის არ არის განათლებით ჟურნალისტი და, მუშაობის გარკვეული სტაჟის მიუხედავად, ბევრი ხარვეზი აქვს პროფესიულ ცოდნაში. სამწუხაროდ, მის ანაზღაურებას იგი პროფესიონალების მუშაობაზე დაკვირვებით, სამუშაო საათების გონივრული გამოყენებითა და გამოცდილების ათვისებით კი არ ცდილობს, არამედ პოპულისტური მიზნით ჭორებისა და **„სენსაციების“** გავრცელებით. მსგავსი არასერიოზული მასალები და სარედაქციო სამუშაოსადმი მისი აგდებული დამოკიდებულება სახელს უტეხს გაზეთის ისედაც შეჭირვებულ კოლექტივს, ჰქმნის დაძაბულობას და ბევრ დამატებით საზრუნავს აჩენს.

**მიხეილ ამაღლობელი:** მე ელისოს ვთხოვ, ჩაფიქრდეს და ბოდიში მოიხადოს. მას უმიზეზოდ არაერთი სამუშაო დღე აქვს გაცდენილი. ჩემს ოთახში ზის და ამას სხვაზე უკეთ ვხედავ.

**გიგა ყურაშვილი:** დისციპლინა დისციპლინაა, იგი ყველამ უნდა დაიცვას.

**ლამარა გველესიანი;** ელისო, ხომ არ შეგიძლია უარყო, თუ რამდენჯერ დაგიდექი თავმდებად და შემდეგ კი შენს გამო არაერთხელ მომიხდია ბოდიში? რატომ არ გინდა, კოლექტივს ედგე გვერდით?

**ნინო დეისაძე:** რაც ფიქსითა და შრომის კანონმდებლობით მოგვეთხოვება, ყველამ უნდა შევასრულოთ. დღეს საბაზრო ეკონომიკაა, უამისოდ გაზეთი ვერ იარსებებს.

**ელისო კილაძე:** მე გავარკვევ, თუ ბიულეტენზე ყოფნისას შეიძლება საყვედურის გამოცხადება?

**ნინო ცირამუა:** როგორ? ავადმყოფობის გარეშე არ გაგიცდენია სამუშაო? რატომ ძაბავ მდგომარეობას? ამ შემთხვევაშიც, როგორც საერთოდ, არა ხარ მართალი, ელისო!

**ნუნუ მაჩალაძე:** აქ მთავარი ის კი არ არის, იმ დღეს იყო თუ არა ელისო. აქ ეთიკაზეა საუბარი – ვნახოთ ჩვენი წერილების მოძრაობა!

არის ასეთი შესანიშნავი გამოთქმა: ზარმაცი მიზეზს დაეძებსო. ჩვენ ხომ ბევრჯერ ვართ მოწმე, ავადაც ვართ და კარგადაც, მაგრამ რედაქციისათვის რაიმეს მაინც ვაკეთებთ.

**სამწუხაროდ ზოგიერთი ავტორიტეტს უცემს გაზეთს. გაზეთ „ქუთაისის“ სახელით დაატარებენ ვიღაც-ვიღაცაებს. ყველამ ყველაფერი იცის. ახლა არა, მაგრამ თუ საჭირო იქნა, მეც დავასახელებ!**

ზოგიერთს, გაზეთ **„ქუთაისში“** ვმუშაობო, ეს სახელი აინტერესებს, მაგრამ გაზეთისათვის სასიკეთოს არაფერს აკეთებს. არა ხარ მართალი, ელისო! დილით რამდენიმე წუთით შემოირბენ და მერე საღამომდე სადა ხარ, კაცმა არ იცის.

**ლალი აფხაიძე:** ხელფასს რატომ იღებ, როცა სამუშაოს სისტემატურად აცდენ?

**ნანა ქაჯაია:** შვილების შემდეგ ყველაზე მეტად ჩვენი გაზეთი მტკივა. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება გაზეთისადმი. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს. **ელისოს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ მის გამო არაერთხელ ჩავვარდით უხერხულობაში,** თუმცა ყოველთვის ვცდილობდით მის გვერდით დგომას.

**ხათუნა გედენიძე:** უნდა გიყვარდეს ის კოლექტივი, სადაც მუშაობ. მაშინ არ იქნება არც გაცდენები, არც რაიმე გაუგებრობა.

**ნანი ტოროშელიძე;** რედაქტორთან თითოეული ჩვენგანი არაერთხელ შესულა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო გათავისუფლება ეთხოვა. არავისთვის უთქვამს უარი. ტყუილი არ უნდა ვიკადროთ. ერთმანეთიც უნდა გადავარჩინოთ და გაზეთიც.

**ელისო კილაძე:** ყველა თქვენგანს გახსოვთ ე.წ. ეროვნული ხელისუფლების პერიოდი და ჩემი პოზიცია.

ახლა იმ კითხვაზე, რომელიც გაწუხებთ, კერძოდ თუ **რატომ არ ვმუშაობ?**

**ადრე პირადად ვიყავი დაკავებული პურის საცხობით, საკუთარი ატეესიც გავხსენით არც იმას უარვყოფ, რომ ბევრი გაცდენა მაქვს. დაუკითხავადაც მივდიოდი ვაღიარებ და ბოდიშს ვიხდი.**

რაც შეეხება დისციპლინას, არსებობდა სარედაქციო საბჭო და აღვადგინოთ.

**ნუნუ მაჩალაძე:** შენ **„ძალიან ჭკვიანი“** ხარ, მაგრამ შენზე ნაკლები ჭკუისა აქ არავინ არის. ასეთ დღეში რატომ ჩაგვაგდე? ბოლოსდაბოლოს მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს!

ეკლესიურ ცხოვრებაში ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება უმადურობა. ჩვენმა ზნეობამ უნდა შეგვაჩეროს. **ენის მიმტანი არასდროს ვყოფილვარ, თორემ ყველამ კარგად იცის, ვის რაში ესაჭიროება გაზეთ „ქუთაისის“ მუშაკის სახელი.**

**კრებაზე** ერთხმად აღინიშნა, **„ყველამ მოვუსმინეთ, რომ ბოდიში მოიხადა, და ისიც, თუ როგორი პირობა დადო. არც გაცდენები უარუყვია. ვნახოთ, როგორ მოიქცევაო მომავალში?!.“**

როგორ მოიქცა?

### „თუ ბუნებამც არ უშველა“

**ამ კრების** შემდეგ რედაქტორის იმ ბრძანების გამოქვეყნებამდე, რომლითაც სამუშაოზე მისი აღდგენაა დაფიქსირებული, ელისო კილაძემ ერთხელ კიდევ **„მოსინჯა“** თანამშრომელთა პოზიციის სიმყარე – ისევ და ისევ უხეშად დაარღვია შრომითი დისციპლინა, მაგრამ ამჯერად უკვე სამუშაოდან იქნა გათავისუფლებული. ამიტომ ისევე განმეორდა ბოდიში და იმის იმედით, რომ ბოლოსდაბოლოს გონს მოეგებოდა, კოლექტივმა ეს გადაცდომაც მიუტევა. **ასე რომ, მკითხველმა თავად განსაჯოს, ვინ ვის და რატომ მოუხადა ბოდიში** და რა ზემოქმედების ძალით მოხდა, რომ მას შემდეგ წელიწადნახევრის განმავლობაში ასე თუ ისე გარეგნულად მაინც ბევრჯერ იკავებდა თავს, რათა საყვედური და შენიშვნა ნაკლებად დაემსახურებინა? თუმცა ეშმაკი მაინც არ ასვენებდა: ენამ კვლავ წაუსწრო და 1999 წლის 22 აპრილს გაზეთი იძულებული გახდა, მის ნაცვლად ბოდიში თვითონ მოეხადა, რადგან, როგორც **ქალაქის პროკურატურამ გაზეთში სავალდებულო წესით გამოქვეყნებული წერილით ოფიციალურად დაადასტურა, გაზეთ „ქუთაისის“ თანამშრომელმა ელისო კილაძემ საკრებულოს ტრიბუნიდან გაავრცელა პიროვნების სახელის გამტეხი შეგნებული მონაჭორი.**

სამწუხაროდ, სულმნათის თქმისა არ იყოს, **„მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?“** და მის მიერ პიროვნებათა სახელის გამტეხ შეგნებულ მონაჭორთა რაოდენობა იმავე წუთებიდან გაიზარდა, როგორც კი გაზეთ **„ქუთაისის“** თანამშრომლებმა ახალი რედაქტორი აირჩიეს. ამის თაობაზე სიტყვას აღარ განვაგრძობ, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, მკითხველს აუცილებლად შევახსენო **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებული ვრცელი ამონარიდი ჟურნალისტ ნინო დეისაძის სტატიიდან **„ცილისმწამებლის ვნებანი“,** რომელშიც გამოწვლილვით არის მოთხრობილი, თუ ელისო კილაძემ რედაქციას როგორ ჩააშხამა ახალი ხელმძღვანელობის მიერ გამოსაცემად გამზადებული პირველი ნომრის სიხარული.

წვრთნამ რომ შემდგომშიც ვერაფრით უშველა, დღეს უკვე ყველასათვის ცხადზე უცხადესია: მავანთა დიდი მცდელობის მიუხედავად, ჟურნალისტად კი არა, წლების მანძილზე სწორედ რომ ნამდვილ ჭორნალისტად ჩამოყალიბდა და შანტაჟის მიზნით მის მიერ შეთხზული ყალბი კომპრომატებით უამრავს გაუმრუდა ცხოვრების გზა, აურია ოჯახი და გაუმწარა სიცოცხლე.

ჭორებს, ცილისწამებას და მუქარას დღესაც არ ეშვება – ხან მის მიერ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილ ქალბატონ ელისო ჩაფიძეს უთვლის, რომ საქმეს სასამართლოში გაურჩევს; ხან ბატონ ვლადიმერ ბედუკაძეს აშინებს, რომ ჩაწერილი აქვს, თუ ვისზე რა თქვა და ამ ჩანაწერებს აუცილებლად გამოაქვეყნებს; ხანაც მე მიპირებს, მიჩივლოს და ამ თვითმარქვია **„მსაჯულს“** ჩემს წინააღმდეგაც წინასწარ გამოაქვს საკუთარი ერთპიროვნული **„ვერდიქტი“.**

რატომ ყელყელაობს ასე თავხედურად?

**„ცილისწამების მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან დიდი ხნის ამოღებულიაო“,** – ეიმედება და უხარია, მაგრამ ამაოდ. ცრუ დასმენა და პიროვნების ღირსების შელახვა რომ დასჯადი ქმედებაა, ეს დღემდე არავის გაუხდია სადავოდ.

**ასე რომ, გულწრფელად ვურჩევდი: ვიდრე თაგვი კატას გამოთხრიდეს, ერთხელ მაინც და თანაც ამჯერად ისე, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტები აკეთებენ ხოლმე, – „სხვისი თვალით“ გადაიკითხოს მის მიერვე შეთხზული ცრუ კომპრომატებით სავსე საკუთარი ნაწერები, რათა როცა „ან“-ს იტყვის, „ბან“-ის თქმა არ დაავიწყდეს!**

**ალექსანდრე შენგელია**

---

**ქალაქ თბილისის 53-ე (მე-7 ვაჟთა) სკოლის მე-10/2 კლასის 1958 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**აიდა შატბერაშვილი**

# ქართველებო და ქრისტეს ცნობიერებით მოწიფულნო!

**„მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას ერთიანობას საკუთარი თავიანთ, აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვით განვითარებას და ამით წინ მიჰყავს მთელი მსოფლიო ისტორია. მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება“.**

**ჰეგელი**

**„ქართველმა რასამ გადაარჩინა კაცობრიობა ადამიანის ჯიშის მოსპობისაგან. ქართველი რასა რასიული დახვეწილობის, სიწმინდის, კასტალურობის სიმბოლოა და რა იქნებოდა ადამიანთა მოდგმა ამ რასის გარეშე“**

**გრიგოლ რობაქიძე**

ადამიანებო, ასეთია სვეტიცხოვლის **„ქვის წიგნის“** 40-50%-ით წაკითხული რეალური შინაარსი, დანარჩენი 50-60% სულიერ შემეცნებითი თვალსაზრისით სრულიად სვეტიცხოვლის დანიშნულების შესწავლა-შეცნობა, როგორც სულმნათი მ. ქართველი ბრძანებდა, მომავალი თაობების საქმეა.

საბედნიეროდ საქართველოში უამრავი ისტორიული ძეგლია, რომელიც ქვეცნობიერად და საიდუმლოდ იმარხავს კაცობრიობის რელიგიურ-სულიერ მნიშვნელობებს, რომლებიც საჭიროებს სიღრმისეულ ფილოსოფიურ შესწავლას. იმ შემთხვევაში თუ რელიგიურ-სულიერი ცნობიერებების შემეცნება ხალხის მასებში არ არის მიღწეული საჭირო კონდიციას, მაშინ ისევ და ისევ ყოველი ადამიანის ვალია თვალსაჩინოდ გაუფრთხილდეს დედამიწაზე არსებულ ნებისმიერ ისტორიულ ძეგლს და როგორც ჩვენს წინაპრებს გადმოუციათ ჩვენთვის, ასევე ხელშეუხებლად უნდა გადავცეთ მომავალ თაობას.

წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანთა მხრიდან ჩადენილი იქნება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეცდომა, რომლის პატიებასაც შემოქმედი ღმერთი არ დაუშვებს.

ამ მხრივ საქართველოში ხელისუფლების მიერ სამწუხაროდ არაფერი კეთდება პირიქით რამდენიმე ადგილას კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა მიმართ ბარბაროსულ ქმედებებს ჰქონდა ადგილი.

მეგობრებო, თუ რას გვპირდება მომავალი, ეს მომავლის საქმეა, ხოლო დღეს თანამედროვე საზოგადოება მოკლებულია სულიერ-ცნობიერებას, ეს სამწუხარო ფაქტია, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოში არსებული თითქმის ყველა უწყება მიმართულია ტრადიციისა და ეროვნულობის მიჩქალმვადაკნინებისაკენ, რომელსაც მიზანდასახულად იყენებენ მეზობლისა და მეგობრის ნიღაბს ამოფარებულნი ლაქია მანქურთები.

შეიძლება თამამად ითქვას უდიდესი ჭეშმარიტება, რომ შვილმა შესძლო მამა-პაპის ანდერძად დატოვებული და ქვაში ამეტყველებული საიდუმლოს წაკითხვა, ხოლო ვაი იმას, ვისაც პრეტენზია აქვს რაღაც აბსურდულ საკითხებზე, რადგან თავიანთი მდაბიო მოსაზრებებით თვითონვე ააშკარავებენ თავიანთ უვიცობას.

უვიცობისა და ცნობიერი სიმდაბლის გარდა რა შეიძლება ვუწოდოთ ისეთ ლოგიკას, რომელსაც საქართველოში ოთხასზე (400) მეტი სომხური ეკლესიის არსებობა ქვია. ის კი არ იციან, თუ რას ნიშნავს სასომხეთის რელიგიური ცენტრის **„ეჩმიაძინის“** სახელწოდება, რადგან **„ეჩმიაძინი“** სომხურ ლინგვისტიკურ დიალექტიკაში, როგორც სიტყვა არაფრის მთქმელია, გარდა სასულიერო რელიგიური ცენტრის პირობითი სახელწოდებისა.

ხსენებული ჭეშმარიტება არა მარტო სომხებმა არ იციან, არამედ თანამედროვე მსოფლიოც მოკლებულია არსებულ ცოდნას (ანდა მალავენ) რადგან მათ არ იციან (ან არ ესმით) ღვთაებრივი ბიბლიისა და წმიდა წერილების შინაარსი, რომ დედამიწაზე სემიტური ეპოქის, კერძოდ, კოლხური ცივილიზაციის საგანმანათლებლო პროგრამის არსებობის პერიოდში მაშინდელ სომხეთს გაეგზავნა ოცი (20) დამწერლობითი ანბანური სისტემა, რადგან იმ დროისათვის მათ (სომხებს) ქონდათ მსოფლიო განმანთავისუფლებელი ქურუმ პატრიარქი **„აბრაამის“** მიერ შედგენილი თხუთმეტი (15) დამწერლობითი ანბანური სისტემა, ესე იგი სომხებმა საბოლოოდ მიიღეს ოცდათხუთმეტი (35) ნიშნიანი დამწერლობითი ანბანური მათთვის სრულყოფილი სისტემა, სწორედ აქედან წარმოსდგება სომხეთის რელიგიური ცენტრის კოლხური სახელწოდება **„ეჩმიაძინი“ –**

ეჩ+ოცი

მიაძინი+მიმატებული

ანუ ოცსმიმატებული – **„ეჩმიაძინი“**

(ცნობისთვის: მამა **„აბრაამი“** უკუ ათვლით ოთხი ათასი (4000) წლით ადრე მოღვაწეობდა დედამიწაზე, ხოლო მამა **„იაკობი“** იგივე **„აიეტი“** რომლის მოღვაწეობის დროსაც მოხდა კოლხეთიდან საბერძნეთში **„ოქროს ვერძის“** გატანა).

მაცხოვარი **„იესო ქრისტე“** ბრძანებს თავის მოწაფეებზე: **„აქ რომ ესენი დადუმდნენ ქვები იღაღადებენ“.**

– დიახ, მეგობრებო კავკასიის არეალში ქართველთა ეთნოსის გენეტიკური ხაზის წარმომადგენლობას არა აქვს უფლება **„გულზე ხელდაკრეფილი”** უყურებდეს დედამიწაზე ეტაპობრივად განვითარებულ უარყოფით მოვლენას, ამისათვის ვეხმაურები და ვუერთდები გაზეთ **„ილორის“** №326-ში ჩემი მეგობრისა და თანამოაზრის ბატონ გია ჩუთლაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილს, სადაც მოთხოვნილია საქართველოში მომავლის სკოლებისა და სემინარულ-აუდიტორული დარბაზების შექმნა, რომელიც უშუალოდ დაეხმარა ქართული ფენომენალური ნიჭისა და აზროვნების არგადაშენებას, ამინ!

**მურმან ხუბულავა**

# მსოფლიოში ყველაზე ღრმა გამოქვაბული საქართველოშია! – უდიდესი განძი, რომელზეც ახალმა თაობამ თითქმის არაფერი იცის

კრუბერის გამოქვაბული დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან ყველაზე ღრმაა. მისი სიღრმე 2190 მეტრია. იგი აფხაზეთში, არაბიკის მასივში მდებარეობს. გამოქვაბულს სახელი რუსული და საბჭოთა კარსტოლოგიის ფუძემდებლის, ალექსანდრე კრუბერის პატივსაცემად ეწოდა.

პირველად გამოქვაბული ქართველმა სპელეოლოგებმა აღმოაჩინეს 1960 წელს და 95 მეტრამდე გამოიკვლიეს. მეორედ კრუბერი უკვე კრასნოიარსკის სპელეოლოგებმა 1968 წელს მოინახულეს და დაახლოებით 210 მეტრზე გამოიკვლიეს. შემდგომი სამეცნიერო ექსპედიციები სულ უფრო ღრმად ჩადიოდნენ მიწის ქვეშ და ახალ სიღრმეებს აღწევდნენ. 2007 წლისთვის რეკორდი უკრაინელმა სპელეოლოგმა დაამყარა, რომელმაც 2191 მეტრის სიღრმეზე შეძლო ჩასვლა. რაც შეეხება ქალბატონებს, პირველი რეკორდსმენი ქალი გახლდათ ლიტველი საულე პენკენე (2140 მეტრი).



მღვიმეში გვხვდება მინიატურული სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ფარდები, ადგილობრივი წარმოშობის ნგრეული და გამოფიტვის მასალა. გარდა ამისა, გამოქვაბულში არის წყლის ნაკადები და პატარა ტბები. აღსანიშნავია, რომ მისი წყლებით მდინარე რეპრუა საზრდოობს.

# კოლხეთი ათასწლეულთა მიღმა

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

ჰომეროსის (ძვ. წ. XIII ს.) **„ოდისეა“** წარმოადგენს უძველეს ბერძნულ წყაროს, სადაც მოხსენიებულია კოხლეთის პირვანდელი სახელწოდება **„აია“** და რომელშიც აირეკლა ჰომეროსამდელი წარმოდგენა ბერძნებისა კოლხეთზე. ნაწარმოებში გეოგრაფიული სახელი **„აია“** მოხსენიებულია 3 ადგილას (ჰომეროსი, სიმღერა X, XI, XII). **„ოდისეას“** მიხედვით **„აიაე“** მდებარეობს აღმოსავლეთით, იქ სადაც მზის ღმერთი ჰელოსი აღმოსვლას იწყებს:

**„როს ოკეანის მდინარებას გასცდა ხომალდი,**
**აიაისთან მიგვაბრუნეს ტალღებმა ზღვისა,**
**სადაც ცისკრის მაცნე ეოსს ბინა აქვს და სად არის**
**აღმოსავალი, რა ცეკვაი ჰელიოსისა“.**
**(ჰომეროსი, სიმღერა XII)**

ეტრუსკები, ისევე როგორც პელაზგები კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი, კერძოდ, მცირე აზიიდან. კოლხეთმა სათავე დაუდო მედიტერანულ სამყაროს, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას. დიონისიოს პერიგეტის (ძვ. წ. II თხზულებაში **„დასახლებული სამყაროს აღწერილობა“.** ჰენიოხები ძიგებთან (ჯიქებთან) ერთად პირდაპირ პელაზგური წარმომავლობის ტომადაა გამოცხადებული. იგი წერს; **„სავრომატების შემდეგ მიჯრიტანტან სინდები, კამერიელები და ევქისნის მახლობლად მოსახლე კერკეტები, ტოსეტები და ძლიერი აქაველები, სამხრეთისა და დასავლეთის ქარებმა ოდესღაც გადმოხვეწეს ქსანეთსა და ოდეს სიმონეთის ნაპირებთან, ამას შემდეგ ცხოვრობდნენ მომიჯნავე მიწის მპყრობელნი, პელაზგური ქვეყნის ნაშიერი ჰენიოხები და ზიგები“.** ისტორიოგრაფიაში ძიგები ქართულ ტომადაა აღიარებული და იგი მეგრულ-ლაზურ შტოს განეკუთვნება. ი. ჯავახიშვილი პენიოხების შესახებ წერს: **„ბიჭვინთის ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ ზღვის პირას, იქ, სადაც თითქმის არც ერთი ნავსადგური არ მოიპოვება და ქვეყანა მეტად მთიანია, რადგანაც ქვეყანა კავკასიონის ქედის ნაწილს შეადგენს, პენიოხები სახლობდნენ, სტრაბონის თქმით სხვა მეზობლებსავით ისინი ზღვაზე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. ასევე საინტერესოა ბერძნულ წყაროში დაცული ცნობა, რომელიც უძველეს გადმოცემას ეყრდნობა, კოლხური მოდგმის, მაკრონების პელაზგებად აღიარებას. ბერძნული წყაროების მიხედვით მაკრონები ქართველურ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი კოლხური ტომია. სტრაბონი მათ მაკროპოგონებად მოიხსენიებს – „გრძელწვერიანებად“.** აპოლონიოს როდოსელი არგონავტიკაში წერს: **„იფიქრეს მაკრისელთა პელაზგური ლაშქარი მოგვადგაო. ე. წ. მაკრონების, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან, ევბეელთაგან, სადაც მაკრონები ეწოდათ.“** ურუშაძე წერს: **„აპოლონიოს როდოსელის ხანაში (III ს. ძვ. წ.) როგორც ეს არგონავტების მარშრუტიდან ჩანს, მაკრონების ადგილსამყოფელი ტრაპიზუნის სანახებით განისაზღვრება.“** ეს მითითება ემთხვევა ანტიკური ხანის სხვა ავტორთა ცნობებს კოლხური ტომების განსახლების შესახებ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ ეს გვიანდელი მდგომარეობაა. სქოლასტის განმარტება მაკრონების განსახლების უძველესი ვითარების ამსახველი კონკრეტულ სურათს გვაწვდის. იგი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ რომ მაკრონები, ისევე როგორც ქართველთა სხვა წინაპარი ტომები, უძველეს ხანაში მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე კი არ ცხოვრობდნენ, არამედ შორს დასავლეთითაც, ეგეოსის ზღვის რაიონში და მჭიდრო გენეტიკური კავშირი ჰქონდათ ამ რაიონის ავტოქსონ პელაზგებთან.

დროა ქართველმა ერმა გაითავისოს თავისი დიადი წარსული, ის ფასეული კულტურა, რაც მსოფლიო ცივილიზაციას გააჩნია, რაც შექმნილია ქართველური რასის აქტიური მონაწილეობით.

**ნატალია ჯალაღონია,**

# ირაკლი ღარიბაშვილი – პირადად მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მიუერთდეს

– პირადად მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი იმის, რომ საქართველო მიუერთდეს ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გააკეთა განცხადება და შეისწავლიან ხარისხს ღვინის, თუ ნებისმიერი სხვა პროდუქციის, რომელიც რუსეთში გადის და თუ რაიმე კითხვები იქნება ამას გაარკვევენ.

“პირადად ჩემი, როგორც მთავრობის მეთაურის პოზიცია არის შემდეგი, მე ვიყავი და ვარ წინააღმდეგი, საქართველო მიუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ჩვენ ეს პოზიცია გვქონდა გასულ წელს და გვაქვს იგივე პოზიცია ახლაც. არ ვაპირებთ ამ პოზიციის შეცვლას, 15 სანქციიდან ერთადერთი სანქცია, რომელსაც შეუერთდა საქართველოს გასულ წელს შეეხებოდა მხოლოდ ყირიმსა და სევასტოპოლში წარმოებულ პროდუქტის ექსპორტზე დაწესებულ სანქციებს. მოგეხსენებათ, ჩვენ იგივე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენ გვაქვს პრობლემა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ჩვენ იგივეს ვითხოვთ დანარჩენი სახელმწიფოებისგან. ჩვენი არაღიარების პოლიტიკიდან გამომდინარე ეს იყო გარდაუვალი აუცილებლობა. სხვა სანქციებზე გვქონდა მსჯელობა მთავრობის შიგნით გასულ წელს და გადავწყვიტეთ, რომ არ ვაპირებთ შევუერთდეთ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. ეს გადაწყვეტილება რჩება ძალაში”, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების რამდენიმე მიზეზი არსებობს, პირველ რიგში ის, რომ ჩვენ ძალიან ვუფრთხილდებით იმ მონაპოვარს, რომელიც უკვე გვაქვს რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის სახით.

პრემიერის თქმით, სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებით ჩვენ მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს.

“წლების წინ განვაახლეთ სააკაშვილის გაუაზრებელი პოლიტიკის გამო გაწყვეტილი დიალოგი, ჩვენი პრაგმატული პოლიტიკის გზით შევძელით ბაზრის ხელახლა გახსნა და ჩვენ ამას ვაფასებთ”,– განაცხადა ღარიბაშვილმა.

კითხვაზე, თუ თავის დროზე – 2014 წელს რატომ არ გახდა ცნობილი საქართველოს მიერ ევროკავშირის კონკრეტულ სანქციაზე მიერთების თაობაზე, პრემიერი აცხადებს, რომ არ იცის.

“მე ვფიქრობ, აჟიოტაჟი ხელოვნურად არის აგორებული, რადგან შიდა დესტრუქციულ ძალებს არ სურთ ურთიერთობების ნორმალიზება და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა. ჩვენი ინტერესი კი არის რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. ეს პროცესი უკვე დაიწყო, თუმცა მთავარ პრობლემაც რჩება აფხაზეთი და სამაჩაბლო. მაგრამ დანარჩენ საკითხებში მივყვებით თანმიმდევრულად და გვაქვს აბსოლუტურად კეთილმეზობლური ურთიერთობები და მიდგომები”,– განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ უნდა ააშენოს ანაკლია-პორტი?



### ვის მიანიჭებს უპირატესობას საქართველოს სამთავრობო და მოწვეულ, უცხოელ ექსპერტთა სატენდერო კომისია?

წელიწადი მიილია, რაც ეს შეკითხვები ისმის და უამრავი ინტრიგაც იხლართება უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის გარშემო, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა უნდა გადაარჩინოს, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი – ქვეყანა უნდა იხსნას გაკოტრებისგან!

რადგანაც, პირველად ვწერ **„ილორის"** მკითხველისთვის ამ თემაზე სტატიას, აქ არ ჩამოვთვლი, საქვეყნო საქმისადმი არაკეთილგანწყობილი, ქართული მედიასაშუალებების სიას ერთი უბრალო მიზეზის გამო,– ჩემი მიზანი, მკითხველის გაღიზიანება კი არა, უკეთესი მომავლისადმი იმედის გაღვიძებაა, რომელსაც არცთუ ცოტა მოწინააღმდეგე ჰყოლია საქართველოში. ვფიქრობ, ესეც უნდა იცოდეს მკითხველმა, მაგრამ ამჯერად აქ დავსვამ წერტილს და თუ საჭიროებამ მოითხოვა, უფრო ვრცლად სხვა დროს მივუბრუნდები მას!

ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის იდეა მეოთხედ საუკუნეზე მეტია არსებობს. იგი მას შემდეგ გახდა რეალური, რაც მეგასახელმწიფო ჩინეთმა გამოხატა ინტერესი **„ახალი აბრეშუმის გზის"** მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს **„ანაკლია პორტი"** წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ევროპაში გაყიდული საქონლის ნახევარზე მეტი ჩინეთშია წარმოებული და ბუნებრივია, მისი მომხმარებლამდე სწრაფად მიტანა დიდ ფინანსურ მოგებასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, **„ახალი აბრეშუმის გზა"** სამჯერ ამცირებს საქონლის ტრანსპორტირების დროს და ხარჯებს მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

აქედან გამომდინარე, ძვირადღირებულ პროექტს გაუჩნდა დაინტერესებული და მისი ფუნქციონირების გარანტიის მიმცემი მხარე, ჩინეთის სახელმწიფოს სახით.

პროექტის საერთო ღირებულება ჩინეთიდან შავ ზღვამდე, კასპიის ზღვის ორი პორტის გავლით, სარკინიგზო და სამანქანო გზების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით 40 მილიარდ დოლარს შეადგენს, **„ანაკლია პორტის"** მშენებლობა კი ხუთი მილიარდი დოლარის ფარგლებშია ნავარაუდევი.

პროექტის გარშემო შექმნილი, რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ, გასული წლის აგვისტოში, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ კონკურსი გამოაცხადა.

პროექტთან დაკავშირებით ინტერესი თორმეტმა საერთაშორისო და ადგილობრივმა კომპანიამ გამოხატა, რომელთაგან, ერთწლიანი სატენდერო მარათონის შემდეგ, ბოლო ეტაპზე მხოლოდ 2 კომპანია მონაწილეობს.

წინასწარი გათვლებით, პორტის მაქსიმალური ტვირთბრუნვა, მთავრობის დაკვეთით, 100 მილიონი ტონა უნდა იყოს. მშენებლობა შვიდ ეტაპადაა დაყოფილი. პირველი სამი ეტაპი, მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში – არანაკლებ 40 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობას უზრუნველყოფს (მესამე წელს – 7 მლნ ტონა, მეშვიდე წელს – 20 მლნ ტონა და მეთორმეტე წელს არანაკლებ 40 მლნ ტონისა).

პორტის გარდა, ანაკლიაში დაგეგმილია ლოჯისტიკური და სამრეწველო ზონის განვითარება, ახალი დასახლება ოცი ათას მოსახლეზე, საერთაშორისო აეროპორტისა და თხევადი გაზის ტერმინალის მშენებლობა.

გეგმის მიხედვით პორტის მშენებლობა 2016 წლის პირველ ივლისს უნდა დაიწყოს.

**„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი – „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი"-ს და კონსორციუმ – „ანაკლია პორტი და ეკო პარკი"-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრებების ანალიზი:**

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილი და კონტროლირებადი შავი ზღვის სანაპირო ზოლი 90 კილომეტრამდე შემცირდა. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ამ 90 კილომეტრიდან მხოლოდ მესამედია საკურორტოდ და ტურიზმის განვითარებისთვის ვარგისი. ამ მხრივ, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესოა.

საკურორტო-ტურისტული ღირსებების გარდა, დიდი ხანია ცნობილია ანაკლიის კანიონი, რომელიც შავი ზღვის აუზში ღრმა წყლოვანი პორტის აშენების საუკეთესო პირობას ქმნის. მრავალწლიანი სამზადისის შემდეგ, მივადექით იმ მომენტს, როცა ანაკლიაში მეგაპორტის დაპროექტება და მშენებლობა უნდა დაიწყოს.

პროექტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა და საუკუნეების გამოცდას უნდა გაუძლოს.

გამომდინარე აქედან, შესასწავლია და გამოსაკვლევია ყველა წვრილმანი, რაც ბუნებაზე ზეგავლენას, ადგილობრივ უძველეს დასახლებას, მოსალოდნელ ეკოლოგიურ ცვლილებებს და, რაც ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ზღვის სანაპირო ზოლის მაქსიმალურად მცირე ნაწილის გამოყენებას ეხება.

როდესაც, **„ანაკლია პორტის"** მშენებლობისთვის გამართული ტენდერის ერთწლიანი მარათონის შემდეგ დარჩენილი, ორი მონაწილის მიერ წარმოდგენილ პროექტებს ერთმანეთს ვადარებ, მათ შორის არა მარტო დიდი განსხვავებაა, ისინი ერთმანეთის ანტიპოდია, რაც მარტივად, სულ რამდენიმე წინადადებაში შეიძლება გამოიხატოს:

**1. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი – „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება, ყველა ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და იგი, პროექტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო განწყობას იწვევს, რაც, მოსახლეობაში, მაცდური და პროვოკაციული ინფორმაციების გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

ამ თემაზე ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი კონკრეტულად იმ ხარვეზებზე, თუ შეგნებულად დაშვებულ შეცდომებზე:

**ა). „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება, **ზღვის ნაპირის, ოთხნახევარ კილომეტრ, საკურორტო ზოლს იკავებს.**

**ბ).** ასაშებელი პორტის პროექტი პირდაპირ დასახლებულ ტერიტორიაზეა დამიზნებული, რაც ორასამდე ოჯახის გასახლებას მოითხოვს. რაც ყველაზე გასაკვირი და საეჭვოა, იგი სააკაშვილისეულ **„ლაზიკა პორტს"** იმეორებს!

**გ).** ექსპერტების დასკვნით, წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გაცდება, წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან იგი დამატებით ზღვის სანაპირო ზოლს მოითხოვს.

**დ).** წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა საეჭვოა მრავალ მიზეზთა გამო. აუცილებლობის შემთხვევაში წარმოგიდგენთ მის წერილობით დადასტურებას.

**2. კონსორციუმ – „ანაკლია პორტი და ეკო პარკი"-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:**

**ა).** ზღვის ნაპირის მხოლოდ **1400 მეტრს იკავებს.**

**ბ).** საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

**გ).** წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია, წელიწადში 100-120 მილიონი ტონა ტვირთბრუნვაზე.

**დ). კონსორციუმ,– „ანაკლია პორტი და ეკო პარკი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინასაპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ შექმნილი დოკუმენტაციის თანხლებით, ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიმდინარე წლის დასაწყისში, ანაკლიაში მეორედ გამოჩდა შპს **„გეოგრაფიკის"** მიწის ამზომველთა ჯგუფი (პირველად, ისინი 2013 წლის იანვარში ესტუმრნენ ანაკლიას) და ადგილობრივ მოსახლეობას განუცხადეს, რომ,– **მთავრობის დავალებით არიან ჩამოსული, ანაკლიაში პორტის ასაშენებელი მიწების ასაზომად, რომელსაც მიმდინარე წლის დეკემბერში მთავრობა შეისყიდის.**

როგორც ზემოთ ვიხილეთ, – **კონსორციუმ,– „ანაკლია პორტი და ეკო პარკი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების მიხედვით არცერთი ადგილობრივი ოჯახის გასახლება არ იგეგმება.

ლოგიკურია, აქ ჩნდება კითხვა,– **რომელმა მთავრობამ გადაწყვიტა ანაკლიის მოსახლეობის მიწების შესყიდვა და რომელი პროექტი მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობის გასახლებას?**

ყოველივე ამის შემდეგ, დაინტერესებული და საქმეში ჩახედული მკითხველი, უმალვე გაიხსნებს,– **ხუთი წლის წინ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიერ აკვიატებულ „ლაზიკა პორტის" და 500.000 მოსახლეზე ქალაქ „ლაზიკას" აშენების გახმაურებულ იდეას.**

ბოლო, მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოს, თითქმის განახევრებული მოსახლეობის პირობებში, სად უნდა მოეძია საქართველოს ჭკუამხიარულ პრეზიდენტს ქალაქ ლაზიკაში ჩასასახლებელი ნახევარი მილიონი ადამიანი, – მრავალთათვის სასაცილო, მხოლოდ მცირეთათვის თავსატეხი და ავისმომასწავებელი აღმოჩნდა!

მაშინვე ითქვა, უცხო ჯურის ხალხის ჩამოსახლებას აპირებსო პრეზიდენტი სააკაშვილი, რაც მალევე დაკონკრეტდა და სახელიც გამჟღავნდა,– **„სირიაში მცხოვრები სომხების ჩამოსახლებას აპირებენო „ლაზიკა" ქალაქში!"**

ამბობენ,– ჯერ კიდევ, გასული საუკუნის 80-ან წლებში, ქალაქ სოჭში, იმდროინდელი სსრკ-ს მთავრობის წარმომადგენელთა საიდუმლო შეხვედრაზე იქნა განხილული თურმე, **სირიის ქალაქ ალეპოდან, სომხების ჩამოსახლების საკითხი.**

ღვთის მადლით და ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ძალისხმევით, ყოფილი ხელისუფლების და მისი უცხოელი მხარდამჭერების ვერაგული გეგმა 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩაიშალა, მაგრამ იგი, როგორც ზემოთ ვახსენე, ჯერ 2012 წლის ბოლოს და მიმდინარე წლის დასაწყისში კვლავ გაცოცხლდა, როცა – **შპს „გეოგრაფიკის" მიწის ამზომველები მიავლინეს ანაკლიაში და პორტის მშენებლობის საბაბით, ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის კარ-მიდამოს აზომვა დაიწყეს!**

გასაოცარი ის არის, რომ სატენდერო კომისიაზე მოწვეულ უცხოელ ექსპერტებს სწორედ **„ლაზიკა პორტის"** ე.წ. **„კონცეფცია"** შესთავაზეს ნიმუშად და ტენდერში მონაწილე კომპანიებს ერთი და იგივე კითხვას უსვამდნენ, – **„რამდენი ოჯახის გასახლება მოუწევთ ტენდერის მოგების შემთხვევაში?"**

ბუნებრივია, მოწვეულ ექსპერტებს რასაც მიაწვდი, იმაზე დასვამს აქცენტს, მაგრამ,– **რას აკეთებს ამ შემთხვევაში ქვეყნის სამთავრობო კომისია?!.**

სწორედ აქ დევს მოსალოდნელი საშიშროება, რომლის დაშვება არავის ეპატიება!

საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ერმა უნდა გადაწყვიტოს:

**–ანაკლიაში, პორტის მშენებლობის საბაბით, უცხო ქვეყნის ექსპანსია განხორციელდება,** როგორც ამას ყოფილი მთავრობა და მისი ჭკუამხიარული ლიდერი გეგმავდნენ თუ,– **ანაკლიაში მეგაპორტის მშენებლობა ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის გამრავლების და ქვეყნის გადარჩენის გარანტია უნდა გახდეს?**

ავი ხმები იმასაც ამბობენ, რომ – **„ანაკლიაში პორტის მშენებლობა საბაბია მხოლოდ, სინამდვილეში იქ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ბაზა უნდა აეშენებინა სააკაშვილს, დღევანდელი ხელისუფლება კი ბრმად მიჰყვება ამ ვერაგულ გეგმას, რაც საბოლოოდ დაგვამშვიდობებს აფხაზეთთან და სამეგრელოსაც მიაყოლებსო ზედ!"**

მე თუ ვინმე მკითხავს, ეს ეჭვი შორს არ უნდა იყოს სინამდვილისგან, რადგან ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების შეხმატკბილებული მოქმედება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. განსაკუთრებით კი, – **„ევროპელობასა" და „ამერიკელობაში" შეჯიბრებითობის სარბიელზე!**

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ძალზედ მცირე დრო რჩება, სასწორის პინაზე დევს ქვეყნის დაქცევის და მისი გადარჩენის საკითხი, – **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმ – „ხაზარაძე და კონტი ჯგუფი"-ს** და **კონსორციუმ, – „ანაკლია პორტი და ეკო პარკი"**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრებები.

როგორც ზემოთ ვახსენე, საქართველოს მთავრობის და მოწვეული, უცხოელი ექსპერტების ხელშია, რომელ გზას გაუყენებენ საქართველოს,– **გადაშენების და უცხო ტომის ექპანსიის, თუ, გადარჩენის და აღმშენებლობის გზას!**

დავით ქობალია

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# სეზონი 2015/16: ყველა ბუნდესლიგური გარიგება ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე



### ბაიერნი

მივიდნენ: დუგლას კოშტა (შახტარი, ნახ), არტურო ვიდალი (იუვენტუსი, ნახ), სვენ ულრაიხი (შტუტგარტი, მეკ), ჯოშუა კიმიხი (შტუტგარტი, ნახ).

წავიდნენ: კლაუდიო პისარო (?), პეპე რეინა (ნაპოლი), მიტჩელ ვაიზერი (ჰერტა), ბასტიან შვაინშტაიგერი (მანჩესტერ იუნ.), ჯერდან შაჩირი (ინტერი).

### ვოლფსბურგი

მივიდნენ: კარლოს ასკუესი (მელგარი, მცვ), მაქს კრუზე (გლადბახი, ფორ), ფრანსისკო როდრიგესი (ციურიხი, ნახ).

წავიდნენ: პატრიკ დრიუესი (ვილი), ჟანგ სიჟე (ბეიჟინგი), ვაცლავ პილარი (პლზენი), ბიარნე ტიოლკე (კარლსრუე), დან-პატრიკ პოგენბერგი (დუისბურგი), შტეფან კუტჩკე (ნიურნბერგი).

### გლადბახი

მივიდნენ: ანდრეას კრისტენსენი (ჩელსი, მცვ), იოსიპ დრმიჩი (ლევერკუზენი, ფორ), ლარს შტინდლი (ჰანოვერი, ნახ), ტობიას ზიპელი (კაიზერი, მეკ), ნიკო ელვედი (ციურიხი, მცვ).

წავიდნენ: ფილიპ დემსი (ვესტერლო), მაქს კრუზე (ვოლფსბურგი), ტორბენ მარქსი (დაასრულა კარიერა), ამინ იუნესი (აიაქსი), ნიკო ბრანდენბურგერი (ლუცერნი), იანის ბლასვიჩი (დინამო დრ), კრისტოფ კრამერი (ლევერკუზენი).

### ლევერკუზენი

მივიდნენ: ანდრე რამალიო (ზალცბურგი, მცვ), ჯონათან ტაჰი (ჰამბურგი, მცვ), ადმირ მეჰმედი (ფრაიბურგი, ფორ), კრისტოფ კრამერი (გლადბახი, ნახ).

წავიდნენ: შტეფან რაინარტცი (აინტრახტი), ემირ სპაჰიჩი (ჰამბურგი), იოსიპ დრმიჩი (გლადბახი), გონსალო კასტრო (დორტმუნდი), მარკ ბრასნიჩი (პადერბორნი).

### აუგსბურგი

მივიდნენ: პიოტრ ტროხოვსკი (თავისუფალი აგენტი, ნახ), დომინიკ კორი (ლევერკუზენი, ნახ), იანიკ ოტლი (უნტერჰახინგი, მეკ).

წავიდნენ: დომინიკ რაინჰარდტი (?), პიერ-ემილ ჰოიბერგი (ბაიერნი), ნიკოლა ჯურჯიჩი (მალმიო), იოანის გელიოსი (?), მატიას ფეტში (დინამო დრ).

### შალკე

მივიდნენ: ჯუნიორ კაისარა (ლუდოგორეცი, მცვ), იოჰანეს გაისი (მაინცი, ნახ), ფრანკო დი სანტო (ვერდერი, ფორ), საშა რიტერი (ფრაიბურგი, მცვ).

წავიდნენ: იან კირხოფი (ბაიერნი), ჯეფერსონ ფარფანი (ალ ჯაზირა), ჩინედუ ობასი (?), კრისტიან ფუხსი (ლესტერი), ტრანკვილო ბარნეტა (ფილადელფია), მარსელ სობოტკა (ფორტუნა დ), ტიმონ ველენროიტერი (მალიორკა), კირიაკოს პაპადოპულოსი (ლევერკუზენი).

### დორტმუნდი

მივიდნენ: გონსალო კასტრო (ლევერკუზენი, ნახ), იულიან ვაიგლი (მიუნხენი, ნახ), რომან ბიურკი (ფრაიბურგი, მეკ).

წავიდნენ: სებასტიან კელი (დაასრულა კარიერა), ჩირო იმობილე (სევილია), მილოშ იოიჩი (კიოლნი), მიტჩელ ლანგერაკი (შტუტგარტი), ზლატან ალომეროვიჩი (კაიზერი), მუსტაფა ამინი (რანდერსი).

### ჰოფენჰაიმი

მივიდნენ: პაველ კადერჟაბეკი (სპარტა, ნახ), ფაბიან სხარი (ბაზელი, მცვ), ჯონათან შმიდი (ფრაიბურგი, ნახ), მარკ უტი (ჰერენვეენი, ფორ), კევინ კურანი (დინამო მ. ფორ), ჟოელინტონი (სპორტ რესიფე, ფორ), ანტონიო ჩოლაკი (ნიურნბერგი, ფორ), მარკო მარიჩი (რაპიდი, მეკ), ინჰიეოკ პარკი (კიუნ ჰი, ფორ).

წავიდნენ: ანდრეა ბეკი (ბეშიქთაში), სვენ შიპლოკი (ჰამბურგი), რობერტო ფირმინო (ლივერპული), დავიდ აბრაჰამი (აინტრახტი), კევინ აკპოგუმა (ფორტუნა დ), სეიად სალიჰოვიჩი (გიჟუო რენე), იანიკ ჰაბერერი (ბოხუმი), ანტონი მოდესტე (კიოლნი), სანდრო ვაიზერი (თუნი), ლუის ადვინკულა (ბურსა), ვინჩენცო გრიფო (ფრაიბურგი), ტობიას ვაისი (ბოხუმი), აფრიე აკუა (ტორინო), მარკო მარიჩი (ლეჩია), ინჰიეოკ პარკი (ფრანკფურტი), ჯუნიორ პონსე (დეპ. სან მარტინი).

### აინტრახტი

მივიდნენ: ლუკას ჰრადეცკი (ბრონდბიუ, მეკ), შტეფან რაინარტცი (ლევერკუზენი, ნახ), ჰაინც ლინდნერი (აუსტრია, მეკ), დავიდ აბრაჰამი (ჰოფენჰაიმი, მცვ), ლუკ კასტაინოსი (ტვენტე, ფორ), მილატ გაჩინოვიჩი (ვოივოდინა, ფორ).

წავიდნენ: კევინ ტრაპი (პსჟ), ნელსონ ვალდესი (?), ლუკას პიაზონი (ჩელსი), ფელიქს ვიდვალდი (ვერდერი), ალექსანდრ მადლუნგი (?), იან როზენტალი (დარმშტადტი), ოლივერ ოსეანი (ოდ გრენლანდი).

### ვერდერი

მივიდნენ: ულისეს გარსია (გრასჰოპერსი, მცვ), ენტონი უჯა (კიოლნი), ფელიქს ვიდვალდი (აინტრახტი, მეკ).

წავიდნენ: ლუკა კალდიროლა (დარმშტადტი), ფრანკო დი სანტო (შალკე), სებასტიან პრიოდლი (უოტფორდი), კოენ კასტელსი (ვოლფსბურგი), დავი ზელკე (ლაიპციგი), რიხარ შტრებინგერი (რაპიდი), ლუდოვიკ ობრანიაკი (რიზე).

### მაინცი

მივიდნენ: ლეონ ბალოგუნი (დარმშტადტი, მცვ), ენრიკე სერენო (ქაისერი, მცვ), დანი ლატცა (ბოხუმი, ნახ), იოშიჰირო მუტო (ტოკიო, ნახ), მაქსიმილიან ბაისტერი (ჰამბურგი, ნახ), ფაბიან ფრაი (ბაზელი, ნახ), ფლორიან ნიდერლეხნერი (ჰაიდენჰაიმი, ფორ), ბესარ ჰალიმი (შტ. კიკერსი, ნახ).

წავიდნენ: სტეფანოს კაპინო (ოლიმპიაკოსი), ნიკოლჩე ნოვესკი (?), იოჰანეს გაისი (შალკე), სამი ალაგუი (ჰერტა), ხუნიორ დიასი (დარმშტადტი), ნიკოლას კასტილიო (ბრიუგე), შინჯი ოკაზაკი (ლესტერი), იონას ჰოფმანი (დორტმუნდი), იულიან კოხი (ფორტუნა დ), სებასტიან პოლტერი (ქუინზ პარკი), ბესარ ჰალიმი (ფრანკფურტი), დანი შაპინი (ფრანკფურტი).

### კიოლნი

მივიდნენ: დომინიკ ჰაინტცი (კაიზერი, მცვ), ფრედერიკ სიორენსენი (იუვენტუსი, მცვ), მილოშ იოიჩი (დორტმუნდი, ნახ), სიმონ ცოლერი (რენი, ფორ), ლეონარდო ბიტენკურტი (ჰანოვერი, ნახ), ანტონი მოდესტე (ჰოფენჰაიმი, ფორ).

წავიდნენ: მიშო ბრეჩკო (ნიურნბერგი), ადამ მატუშიკი (ბრაუნშვაიგი), ენტონი უჯა (ვერდერი), პატრიკ ჰელმესი (დაასრულა კარიერა), ტომას ბრიოკერი (დუისბურგი), დეივერსონი (ბელენენსეში), დანიელ ჰალფარი (კაიზერი), კევინ ვიმერი (ტოტენჰემი).

### ჰანოვერი

მივიდნენ: ფელიქს კლაუსი (ფრაიბურგი, ნახ), ფილიპ ტშაუნარი (სტ. პაული, მეკ), უფე ბეჩი (ნორდსიელანდი, ფორ), ოლივერ ზორგი (ფრაიბურგი, მცვ), ჩარლისონ ბენშოპი (ფორტუნა დ, ფორ), მევლუთ ერდინჩი (სტ. ეტიენი, ფორ), ალან სენტ-მაქსიმინი (სტ. ეტიენი, ფორ).

წავიდნენ: ლარს შტინდლი (გლადბახი), ხოსელუ (სტოკი), იან შლაუდრაფი (?), ჟოაო პერეირა (სპორტინგი), მარიუს სტანკევიჩუსი (?), ჯიმი ბრიანი (გინგამი), კრისტიან პანდერი (?), დიდიე ია კონანი (ფორტუნა დ), ლეონარდო ბიტენკურტი (კიოლნი), რობერტ ალმერი (აუსტრია).

### შტუტგარტი

მივიდნენ: მიტჩელ ლანგერაკი (დორტმუნდი, მეკ), ემილიანო ინსუა (ატლეტიკო, მცვ), ლუკას რუპი (პადერბორნი, ნახ), ფილიპ ჰაისე (ჰაიდენჰაიმი, მცვ), პრჟემისლავ ტიტონი (ეინდჰოვენი, მეკ), იან კლიმენტი (იჟლავა, ნახ), რასტკო სულიაგიჩი (დნიპრო, მეკ).

წავიდნენ: სვენ ულრაიხი (ბაიერნი), გოტოკუ საკაი (ჰამბურგი), ქარიმ ჰაგი (ფორტუნა დ), მორიტც ლაიტნერი (დორტმუნდი), ორიოლ რომეუ (ჩელსი), ტორსტენ კირშბაუმი (ნიურნბერგი), სერქან სარარერი (ფორტუნა დ), ტიმ ლიბლოდი (ნიურნბერგი), კონსტანტინ რაუში (დარმშტადტი), რობინ იალჩინი (რიზე), ჯოშუა კიმიხი (ბაიერნი).

### ჰერტა

მივიდნენ: ვლადიმირ დარიდა (ფრაიბურგი, ნახ), მიტჩელ ვაიზერი (ბაიერნი, ნახ).

წავიდნენ: ჯონი ჰეიტინგა (აიაქსი), მარსელ ნდიენგი (პადერბორნი), საშა ბურხერტი (ვოლერენგა), ფაბიან ჰოლანდი (დარმშტადტი).

### ჰამბურგი

მივიდნენ: ემირ სპაჰიჩი (ლევერკუზენი, მცვ), ალბინ ეკდალი (კალიარი, ნახ), მიხაელ გრეგორიტჩი (ბოხუმი, ფორ), გოტოკუ საკაი (შტუტგარტი, მცვ), ბათუჰან ალთინთაში (ბურსა, ფორ), ანდრეას ჰირცელი (ვადუცი, მეკ), სვენ შიპლოკი (ჰოფენჰაიმი, ფორ).

წავიდნენ: ჰაიკო ვესტერმანი (?), ჯონათან ტაჰი (ლევერკუზენი), მარსელ იანსენი (დაასრულა კარიერა), მაქსიმილიან ბაისტერი (მაინცი), არტიომს რუდნევსი (პაოკ), ვალონ ბეჰრამი (უოტფორდი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ბეტისი), სლობოდან რაიკოვიჩი (?), ჯულიან გრინი (ბაიერნი), ლასე სობიხი (სტ. პაული).

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

ბავშვი ინტერესით აკვირდება მურაბების სარდაფში ევაკუაციის პროცედურას.
– სად მიგაქვთ?
– სარდაფში. რომ მერე ზამთარში შევჭამოთ.
– კი მაგრამ, ზამთარი ხომ იყო უკვე?

* * *

იცით თუ არა თქვენ, რომ ჭამის წინ ფეხებს თუ დაიბანთ, ხელებიც თავისთავად დაგებანებათ?

* * *

კლიენტი – ოფიციანტს: – მომიტანეთ, გეთაყვა, ჩივერზდენმაშბრუნდგალვიკინი ლიმონით!
ოფიციანტი: – ჩივერზდენმაშბრუნდგალვიკინი რითი?

* * *

– შენი რძალი კარგი დიასახლისია?
– აბა როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

* * *

– დედიკო, დედიკო! მე დღეს მასწავლებელმა ხუთამდე დათვლა მასწავლა!
– ჰოო? აბა დაითვალე!
– ერთი, ორი, სამი, რით ვერ დაიმახსოვრე, დებილო (ირტყამს თავში ხელს), ოთხი, ხუთი...

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge